გაზეთი „ახალი თაობა“ ახალ წელს 2021 წლის კალენდრით გილოცავთ!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 31 დეკემბერი, 2020 №265 (8529) ფასი: 1 ლარი

სალომე სამადაშვილი: „არ მომწონს ის პროცესები, რომელთაც ოპოზიციაში ვხედავ“

„ერთპარტიული პარლამენტი ყველას მარცხია“

გვ.3

„ქვეყანას პატრონი არ ჰყავს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნება“ ეჭიდავება ოპოზიციას, ამით საქართველო კარგს არაფერს მიიღებს“

გვ.4

აკაკი ბობოხიძე: „საქართველომ დემოკრატიის ტესტი ვერ ჩააბარა“

„ხოშტარიას წასვლა დანაკლისია, მაგრამ პარტიის მთავარი პრობლემა არჩევნებზე ნაჩვენები შედეგებია“

გვ.3

გვ.4

თბილისთან ურთიერთობის ინიციატივამ აფხაზეთში პროტესტი გამოიწვია

შეიტანს თუ არა ბჟანია ცვლილებებს „საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში“?

ფონიჭალაში 9 ნარკორეალიზატორი დააკავეს

გვ.5

მართლწესრიგის ოფიცრებმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში დაიწყეს მუშაობა

გვ.5

2 გიგა ბოკერია: „ვისაც როგორც უნდა, ისე დახარჯავს დეპუტატის ხელფასს“

5 სროლა დიღმის სასაფლაოზე 6 წლის წინ იტალიაში მოკლულ გიორგი ბურდულს უკავშირდება

2 თეა წულუკიანმა განათლების მინისტრის მოადგილე დატუქსა

6 აფეთქება იემენის აეროპორტში

2018311219644

არჩილ თალაკვაძე: „პარტიები, რომლებიც პარლამენტში არ შემოვლენ, ამომრჩევლის 1/3-ს დაკარგავენ“

ვინც თავისი ამომრჩევლის გადაწყვეტილებას გაუკეთებს იგნორირებას, მე გარწმუნებთ, რომ ის პარტიები გადაიხდიან პოლიტიკურ ფასს და ეს მოხდება ძალიან მალე, სულ რაღაც 10 თვეში, როდესაც ისინი, როგორც მინიმუმ, 1/3-ით დაკარგავენ თავის მხარდამჭერებს.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

მისი თქმით, ამომრჩეველმა საკუთარი მოსაზრება უკვე დააფიქსირა, როდესაც, პანდემიის მიუხედავად, საარჩევნო უბნებზე მივიდა, 9 პარტიას მისცა ხმა და მხარი დაუჭირა სტაბილურ მმართველობას.

თალაკვაძის განცხადებით, მოსახლეობის ეს გადაწყვეტილება იმაშიც გამოიხატა, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მოწოდების მიუხედავად, ისინი რუსთაველის გამზირზე არ გავიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში სწორედ მათ უჭერდნენ მხარს.

– ჩვენი პოლიტიკური პრიორიტეტი არის ის, რომ პარლამენტში იყოს პოლიტიკური პროცესი და არა ქუჩაში. პარლამენტში იყვნენ პოლიტიკოსები და არა ქუჩაში, თუმცა ვინ არის ქუჩის პოლიტიკოსი და ვინ არის პარლამენტის პოლიტიკოსი, ამაზე საზოგადოებამ უკვე თავისი პოზიცია დააფიქსირა.

პანდემიის მიუხედავად, ორმა მილიონმა ჩვენმა თანამოქალაქემ გააკეთა არჩევანი, მათ ხმა მისცეს 9 სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას, თუმცა მათ, ასევე, ხმა მისცეს ერთ მთავარ რამეს, ყველა მათგანმა აირჩია სტაბილური მმართველობა და ყველა მათგანმა თქვა, რომ ეს პარტიები უნდა იყვნენ პარლამენტში.

საიდან ჩანს, რომ მოსახლეობამ ამაზე გადაწყვეტილება უკვე მიიღო, საიდან ჩანს, რომ მათი არჩევანი სწორედ ეს არის? ჩანს იქიდან, როდესაც რადიკალურმა ოპოზიციამ ქუდზე კაცს დაუძახა და ყველა თავის მხარდაჭერას უთხრა, რომ მობრძანდით რუსთაველზე, რომ ავრიოთ ქვეყანა და ახალი არჩევნები ჩავატაროთო, ვნახეთ, რომ იქ ძალიან ცოტა ჩვენი თანამოქალაქე მოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ 900 ათასზე მეტს ჰქონდა მხარი დაჭერილი ამ პარტიებისთვის, ვინც ხალხს ეძახდა რუსთაველზე, ეს არ არის თქვენთვის ინდიკატორი ? სხვა რა უნდა ვკითხოთ მოსახლეობას? – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მისი თქმით, დღეს ქვეყანამ მიიღო რეალობა, როდესაც ოპოზიციას არ სურს, რომ იყოს ოპოზიცია, რაც აბსოლუტურ უთანხმოებაში მოდის დემოკრატიასთან.

– საზოგადოებამ დაავალა ამ პოლიტიკურ პარტიებს, რომ შესულიყვნენ პარლამენტში, გაეწიათ ოპონირება ხელისუფლებისთვის, მიეღოთ კანონები, ემსჯელათ და ყოფილიყო ოპოზიცია. ჩვენ მივიღეთ ახლა რეალობა, როდესაც ოპოზიციას არ სურს, იყოს ოპოზიცია. ეს არის დემოკრატიასთან აბსოლუტურად უთანხმოებაში და, შესაბამისად, იმ ხალხის არჩევანი, რომელმაც დაავალა ამ პარტიებს პარლამენტში ყოფნა, არის იგნორირებული და ის ადამიანები, მათ ხმას აღარ მისცემენ, – განაცხადა თალაკვაძემ.

გიგა ბოკერია: „ვისაც როგორც უნდა, ისე დახარჯავს დეპუტატის ხელფასს“

ვისაც უნდა, რა ფორმითაც უნდა, იმ ფორმით დახარჯავს ამ რესურსს სწორ საქმეზე.

ასე ეხმაურება „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია საპარლამენტო უფლებამოსილების მქონე დეპუტატების ხელფასების საკითხს.

ბოკერიას თქმით, სხვადასხვა ადამიანმა სხვადასხვა ფორმით გადაწყვიტა გამოეხატა საკუთარი პოზიცია, მათ შორის, „ევროპული საქართველოს“ წევრმა, ტარიელ ნაკაიძემ, საპარლამენტო ხელფასი სამოქალაქო აქტივისტებს გადაურიცხა, ხოლო პარტიის ლიდერი დავით ბაქრაძე, თანხით გაჭირვებულ ოჯახებს დაეხმარა.

ბოკერიამ აღნიშნა, რომ ყველა ეს ფორმა ლეგიტიმურია მაშინ, როდესაც „ქართული ოცნება“ უტიფრად არ აკმაყოფილებს ოპოზიციური პარტიების განცხადებებს საპარლამენტო მანდატის შეჩერებასთან დაკავშირებით.

– სხვადასხვა ადამიანმა სხვადასხვა ფორმით გადაწყვიტა გამოეხატა საკუთარი პოზიცია, ზოგიერთმა ბიუჯეტში დააბრუნა, ზოგიერთმა ქველმოქმედებაში მიმართა, ზოგიერთმა საპარლამენტო ხელფასი მისცა აქტივისტებს. ყველა ეს ფორმა ლეგიტიმურია იმ უტიფრობის ფონზე, როდესაც ივანიშვილის რეჟიმი ჯერ აცხადებდა, რომ არ გაგიშვებთ პარლამენტიდანო, შემდეგ თქვა, რომ სასწრაფოდ დაგიკმაყოფილებთ თუ ახლავე არ დაგვთანხმდებით იმაზე, რაც გვინდაო, ახლა ისევ გადათქვეს და თითქოს დამოკლეს მახვილივით აქვთ დაკიდებული ეს საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტა.

ვისაც უნდა, რა ფორმითაც უნდა, იმ ფორმით დახარჯავს ამ რესურსს სწორ საქმეზე, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მამუკა მდინარაძე ოპოზიციასთან კომუნიკაციას აღასტურებს

„ყველაფერს, ცხადია, ვერ გეტყვით“

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მამუკა მდინარაძის განცხადებით, ოპოზიციის ნაწილსა და ხელისუფლებას მოლაპარაკების ზოგად პირობებზე, ფასილიტატორების გარეშე გარკვეული კომუნიკაცია აქვთ.

მისივე თქმით, აღნიშნული ფარული მოლაპარაკებები არ არის, თუმცა საჯარო არ ხდება, რათა პროცესი არ დაზიანდეს.

– არის გარკვეული დეტალები, რაზეც ჩვენ ვერ ვსაუბრობთ ისევე, როგორც ელჩებთან შეთანხმების გარკვეულ დეტალებსა და პირობებზე. მეც გახლავართ იმ ურთიერთობების და მოლაპარაკებების ნაწილი, რაზეც დღეს ჭირს საუბარი. თუმცა ეს ის არ არის, რაზეც თქვენ ფარული მოლაპარაკებების თემებს ააგებთ ხოლმე.

ელჩების თანდასწრებით იყო საუბარი, რომ კომუნიკაცია შემდგარიყო ყველასთან და გარკვეულ ზოგად პირობებზე, სანამ მოლაპარაკებების მაგიდას კიდევ ერთხელ მივუსხდებოდით, რაღაცაზე შევჯერებულიყავით. აქვე დაგიდასტურებთ, მარტივი არ არის ეს ამბავი. ეს არ არის რაღაც ფარული გარიგებები, ამას არ ვიკადრებთ. კარგი სცენარის განვითარების შემდეგ და მე მგონია, რომ ეს ასე იქნება, ეს რომ გამჟღავნდეს, ჩვენ ჩვენს თავს იმ რისკის წინაშე არ დავაყენებთ, რომ ჩვენი მხრიდან არალეგიტიმური საუბარი ან ერთი ფრაზა მაინც იყოს, რაც საჯაროდ გამჟღავნების შემთხვევაში არ იქნება სწორი, მათ შორის, მორალურად. შეთქმულების თეორიებს თავი დავანებოთ.

თუ ჩემი ამ მესიჯის გატანა უნდა ვინმეს სხვანაირად, არ ვურჩევ, იმიტომ, რომ საბოლოოდ ყველაფერი მჟღავნდება ხოლმე. აბსოლუტურად სწორად, ფასილიტატორ ელჩებთან შეთანხმების თანახმად, გარკვეული კომუნიკაციები, რა თქმა უნდა, არსებობს და მეც გიდასტურებთ, რომ ამისი ნაწილი გახლავართ. აქ ბევრი დეტალია, რაზეც კომუნიკაცია უნდა შედგეს და ყოველ წუთში, ელჩებთან რომ არ იყოს საჭირო სიარული...

ეს ყველაფერი არ არის ფარული, უბრალოდ, არ ხდება საჯარო, გამომდინარე იქიდან, რომ არ დაზიანდეს პროცესი, – განაცხადა მდინარაძემ.

თეა წულუკიანმა განათლების მინისტრის მოადგილე დატუქსა

„თვეში ერთხელ მოხვალთ და ანგარიშს ჩაგვაბარებთ“

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ თეა წულუკიანმა მოითხოვა განმარტება განათლების მინისტრის მოადგილისგან მისი ინიციატივის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, ბაღების ავტორიზაციის პროცესმა 1 წლით უნდა გადაიწიოს.

თეა წულუკიანის განცხადებით, კარგი იქნება, თუ მინისტრის მოადგილე თვეში ერთხელ განათლების კომიტეტის წინაშე წარდგება და ანგარიშს მოახსენებს, თუ რა გაკეთდა.

– ეს 4 წელი რაში დავხარჯეთ, მე ვერ მივხვდი კარგად. პანდემია 4 წლის წინ არ იყო, პანდემია რაც გაჩნდა, თუ მახსოვრობა არ მღალატობს, 1 წელი არ არის ჯერ გასული. მაგრამ, დავანებოთ ამას თავი, კი ბატონო, გადავავადოთ 1 წლით, სადაც 4 წელი ვერ შევძელით, 1 წლის თავზე იქნებ ეს შევძლოთ. ჩვენ ამას ოფიციალურადაც გავაკეთებთ, მაგრამ იქნებ თვეში ერთხელ მობრძანდეთ ჩვენს კომიტეტში და მოგვახსენოთ, რა გააკეთეთ, რომ გაისად ამ დროს ისევ არ მოხვიდეთ და გადავადება არ მოითხოვოთ.

ამ ერთ წელს რომ ჩვენ მოგცემთ, 12-ჯერ მობრძანდით და აგვიხსენით: ამ თვეში ეს გავაკეთე, ამ თვეში ეს, რომ ერთი წლის შემდეგ ვიცოდეთ, რაზე ვლაპარაკობთ, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

განათლების მინისტრის მოადგილემ ეკატერინე დგებუაძემ პარლამენტთან ამგვარი თანამშრომლობისთვის სრული მზაობა გამოთქვა.

– პირველ რიგში, ვიტყვი, რომ მზად ვართ თანამშრომლობისთვის და პირიქით, გვიხარია, რომ თვეში ერთხელ გვექნება დისკუსია და შეჯამება იმ თემებზე, თუ რა გავაკეთეთ და რა ნაბიჯები გადავდგით ამ მიმართულებით. ამ ეტაპზე, უკვე გამოცხადებულია კონკურსი, სიღრმისეული კვლევა ჩატარდება და გაზაფხულზე, ზაფხულის დასაწყისში გვექნება დეტალური კვლევის ანალიზი ბაღებთან მიმართებაში, – განაცხადა მან.

განათლების მინისტრის მოადგილემ ეკატერინე დგებუაძემ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონში შესატან ცვლილებაზე ინიციატივა წარადგინა, რომ ბაღების ავტორიზაციის პერიოდი, ნაცვლად 2020 წლის 31 დეკემბრისა, გახანგრძლივდეს და განისაზღვროს 2021 წლის 31 დეკემბრით.

პანკისში დაკავებული ბაადურ ჩოფანაშვილი გაათავისუფლეს

პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული ბაადურ ჩოფანაშვილი გაათავისუფლეს.

ადვოკატის მტკიცებით, მას სამი წელი ჰქონდა მისჯილი და სრულად მოიხადა.

სუს-მა ანტიტერორისტული ოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსისა და პანკისის ხეობაში 2017 წლის 21-22 ნოემბერსა და 26 დეკემბერს ჩაატარა. ჩატარებული ოპერაციის შედეგად გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ახმედ ჩატაევის დაჯგუფების ორი წევრის ლიკვიდაცია მოხდა, თავად ჩატაევმა კი თავი აიფეთქა.

რაც შეეხება პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციას, სუს-ის კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა ტერორიზმში ბრალდებულთა ჯგუფთან კავშირზე მყოფი სხვა პირებიც აიყვანა. მათ შორის იყო ბაადურ ჩოფანაშვილიც.

ყველა მათგანს გამოძიება ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარ მატერიალურ მხარდაჭერას და რესურსებით უზრუნველყოფას ედავებოდა.

სწორედ ამ ოპერაციის დაწყებას ემსხვერპლა ვახა მაჩალიკაშვილის 19 წლის შვილი.

2020 წელი წარმატებული იყო სახელმწიფო ქონების პრივატიზების კუთხით

სახელმწიფო ქონების ეროვნულმა საგენტომ 2020 წელი შეაფასა. ეკონომიკის მინისტრმა უწყების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრა.

ნათია თურნავა აცხადებს, რომ, პანდემიის მიუხედავად, 2020 წელი საკმაოდ წარმატებული იყო სახელმწიფო ქონების პრივატიზების კუთხით.

– მიუხედავად პანდემიისა, ეს წელი იყო საკმაოდ წარმატებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების კუთხით და ეს მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ახალი სამუშაო ადგილები იქმნება და ახალი სტიმულია ეკონომიკისთვის, რომ გაჯანსაღდეს.

130 მილიონ ლარზე მეტის მობილიზება მოხერხდა პრივატიზაციიდან, მაშინ როდესაც, წინა წელს მხოლოდ 119 მილიონი იყო, – განაცხადა თურნავამ.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: **axtaoba@mail.ru**
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

აკაკი ბობოხიძე: „საქართველომ დემოკრატიის ტესტი ვერ ჩააბარა“

„ხოშტარიას წასვლა დანაკლისია, მაგრამ პარტიის მთავარი პრობლემა არჩევნებზე ნაჩქარევი შედეგებია“

იაგო ნაცვლიშვილი

რა მთავარი გამოწვევები იყო 2020 წელს და რა მოლოდინია 2021 წელს? როგორ აფასებს პარტიიდან ელენე ხოშტარიას წასვლას და ხომ არ არის საჭირო შიდა პარტიული დემოკრატიის უფრო მეტად განსავითარებლად ნაბიჯების გადადგმა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი აკაკი ბობოხიძე საუბრობს.

— 2020 წელი საკმაოდ რთული გამოდგა ყველა მიმართულებით. თქვენ, როგორც პოლიტიკოსს რა გითხრათ და რა გასწავლათ ამ წელმა?

— რომ ვთქვა, რაღაც განსაკუთრებული მასწავლა-მეთქი ამ წელმა, ამას ვერ ვიტყოდი. მსგავსი ტიპის გამოწვევების წინაშე ადრეც ვყოფილვართ, ახლაც ვართ და ალბათ მომავალშიც ვიქნებით. რაც შეეხება წელს, რთული წელი იყო ყველასთვის და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისთვის. სამწუხაროდ, მაქვს განცდა, რომ ყველაფერი წინ გველოდება. იმიტომ, რომ არ ვიცით, რამდენად გაუძლებს ქვეყანა ეკონომიკურ შედეგებს. მისი გავლენა ცოტა გვიან დადგება და პროცესები კი არ დასრულდა, არამედ პროცესი მიმდინარეობს და შედეგებს ცოტა უფრო გვიან უნდა ველოდოთ.

— რა იყო ყველაზე მთავარი გამოწვევა საქართველოსთვის 2020 წელს?

— საქართველოსთვის მთავარი გამოწვევა შეეხება იმას, რომ, სამწუხაროდ, საქართველომ დემოკრატიის ტესტი ვერ ჩააბარა. საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის პოლიტიკის ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანი მგონია. იმიტომ, რომ ჩვენ იმდენად მცირე ეკონომიკისა და რესურსების მქონე ქვეყანა ვართ, რომ ჩვენი შემდგომი ეკონომიკა დამოკიდებულია პოლიტიკურ მდგენელზე. საკმაოდ უკან გადავდგით ნაბიჯი 2012 წლის შემდეგ, როდესაც მოხდა ხელისუფლების გადაცემა მშვიდობიანი გზით. ეს, სამწუხაროდ, ცუდად აისახება ჩვენს შემდგომ განვითარებაზე.

— დემოკრატიის თვალსაზრისით, როდესაც ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივდიოდით, ახლა უკვე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით უკან?

— მე ვთვლი, რომ კარგა ხანია წინ აღარ მივდიოდით, ოღონდ ამას დასტური სჭირდებოდა და ეს დადასტურდა გაყალბებული არჩევნებით. დიახ, მე ვთვლი, რომ ნაბიჯი გადაიდგა უკან. ამას ასევე ექნება ძალიან ბევრი თანმდევი ეფექტი.

— რეალობა გვაქვს ასეთი, რომ მივიღეთ ერთპარტიული პარლამენტი, რაც ძალიან ცუდია ქვეყნის იმიჯისთვის. რა შედეგი მოყვება ამას საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობის თვალსაზრისით?

— ქვეყნის იმიჯისთვის ის კი არ არის ცუდი, რომ ერთპარტიული პარლამენტი მივიღეთ, არამედ ერთპარტიული პარლამენტი გაყალბებული არჩევნების შედეგად მივიღეთ და ეგ არის ცუდი. ეს რომ ქართველი ხალხის ნება ყოფილიყო, ეს სხვა საკითხი იქნებოდა. ვთქვათ, რომ მომხდარიყო სასწაული და ქართველ ხალხს მხოლოდ ერთი პარტიისთვის დაეჭირა მხარი, ეს იქნებოდა ქართველი ხალხის ნება.

— თუმცა, კარგად ესეც არ შეფასდებოდა.

— რა თქმა უნდა, კარგად არ შეფასდებოდა, მაგრამ ეს იქნებოდა ქართველი ხალხის ნება. ისე არარეალური სურათია და არც მინდა განვიხილო. პირობითად ვამბობ — რომ ყოფილიყო ვთქვათ 7%-იანი ბარიერი და მხოლოდ ერთ პარტიას გადაელახა, ეს იქნებოდა ცუდი, მაგრამ იქნებოდა სისტემის ხარვეზი და არა დემოკრატიის ხარვეზი. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა პარტიებს აეღო 6.8% და ვერ შესულიყო პარლამენტში, მაგრამ ეს იქნებოდა სისტემური ხარვეზის შედეგი. ჩვენ შემთხვევაში კი ერთპარტიული პარლამენტი არა იმის გამო მივიღეთ, რომ ეს იყო ხალხის ნება, ან სისტემური ხარვეზი იყო, არამედ მივიღეთ არჩევნების მიტაცების გამო. მიზეზშედეგობრივ ჭრილში თუ განვიხილავთ, ერთპარტიული პარლამენტი შედეგია, მიზეზი კი არ არის. ეს რისი შედეგიც არის, ეს ძალიან ცუდია.

მაგალითად, 1995 წელს იყო ორპარტიული პარლამენტი. 7%-იანი ბარიერი იყო და მხოლოდ ორმა პარტიამ გადალახა — „მოქალაქეთა კავშირმა“ და „ეროვნულ-დემოკრატებმა“. მცირედით გადალახა „ეროვნულ-დემოკრატებმა“ და მას რომ ვერ გადაელახა, ერთპარტიულ პარლამენტს ვიღებდით. მაშინ ეს არადემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების გამო კი არ იქნებოდა, არამედ იმის ბრალი, რომ მაღალი ბარიერი იყო და ეს იყო სისტემის ხარვეზი. დღეს კი ეს ყველაფერი ფუნდამენტალური დანაშაულის მიზეზით მოხდა. კონსტიტუციით ხელისუფლების წყარო არის ხალხი და ეს მიტაცებულია დღეს.

— ალბათ დამეთანხმებით, რომ სისტემური ხარვეზიც არასრულფასოვან დემოკრატიაზე მიუთითებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც მივხვდი, კანონის გვერდის ავლით ხელისუფლების მიტაცებაზე საუბრობთ. ასეა?

— დიახ, რა თქმა უნდა, სწორედ მაგას ვგულისხმობდი.

— თქვენ პარტიაშიც საკმაოდ მძიმედ განვითარდა პროცესები წლის ბოლოს. პარტია დატოვა ერთ-ერთმა უპირობო ლიდერმა ელენე ხოშტარიამ. არ არის ეს დანაკლისი?

— პარტიისთვის ნებისმიერი ადამიანის წასვლა პრობლემაა და ვერ ვიტყოდი, რომ ელენე ხოშტარიას წასვლა არ არის დანაკლისი, მაგრამ პარტიისთვის მთავარი პრობლემა არის ის შედეგი, რაც თუნდაც გაყალბებული არჩევნებით დადგა და ეს არის მთავარი პრობლემა. ქალბატონი ელენე დიდი ხანია ამისთვის ემზადებოდა, უბრალოდ, არჩევნების წინ არ იყო ბუნებრივი მდგომარეობა.

— ანუ არჩევნებამდე იდგა ეს საკითხი და არჩევნებამდე უნდოდა წასვლა?

— ელენე თავისი მოქმედებებით იყო ზეპარტიული თუ როგორ ვთქვა... პარტიის გარეთ მდგომი იყო, გამოკვეთილი ინდივიდი იყო. ელენე ხოშტარია ის ადამიანია, რომელსაც ვერც ერთ პარტიასთან ვერ გააიგივებ. ფორმალურად იყო „ევროპული საქართველოს“ წევრი, მაგრამ ის არის ცალკე აღებული პოლიტიკური თვითმყოფადი ფიგურა. მე მას წარმატებებს ვუსურვებ საქმიანობაში. ის ზუსტად ისე აპირებს საქმიანობის გაგრძელებას, როგორც აქამდე საქმიანობდა.

— შიდა პარტიულ საკითხებთან არ გვაქვს საქმე?

— არანაირი უთანხმოება არ არსებობდა. რაიმე განსაკუთრებული აზრთა სხვადასხვაობაც არ შემიმჩნევია, რომ რადიკალურად განსხვავებული მიდგომები გააჩნია. ესეც რომ ყოფილიყო, ამაშიც ვერ ვხედავ განსაკუთრებულ პრობლემებს, იმიტომ, რომ განსხვავებული აზრი მისაღებია.

— ამის მიუხედავად, შიდა პარტიულ დემოკრატიულ განვითარებაზე არ ზრუნავთ?

— ერთ-ერთი პარტია, სადაც შიდა პარტიული დემოკრატიაა განვითარებული, სწორედ „ევროპული საქართველოა“. პირველად საქართველოში ისტორიაში ჩვენ წარვადგინეთ საარჩევნო სია, რომელიც პირობითად იყო. ამის მიხედვით მიღებულ მანდატებს ისინი დაიკავებ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სალომე სამადაშვილი: „არ მომწონს ის პროცესები, რომელთაც ოპოზიციაში ვხედავ“

„ერთპარტიული პარლამენტი ყველას მარცხია“

ერთპარტიული პარლამენტი არის ყველას მარცხი, სახელმწიფოს მარცხია და არ მიმაჩნია, რომ ეს არის ოპოზიციის გამარჯვება.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა სალომე სამადაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა.

მისივე თქმით, თუ ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის შეთანხმება შედგება, ამ შემთხვევაში ოპოზიციამ შესაძლოა გადახედოს საკუთარ გადაწყვეტილებას, თუმცა, ეს შეთანხმება ვერ იქნება ისეთ საკითხებზე, რომელიც „ქართული ოცნების“ ინტერესებშია.

— ერთპარტიული პარლამენტი არის ძალიან სამწუხარო რეალობა. მიმაჩნია, რომ ერთპარტიული პარლამენტი არის ყველას მარცხი, სახელმწიფოს მარცხია და არ მიმაჩნია, რომ ეს არის ოპოზიციის გამარჯვება. ერთპარტიული პარლამენტი აზიანებს ქვეყანას და არავის გამარჯვებად არ მიმაჩნია. თუ მივაღწევთ შეთანხმებას, ამ შემთხვევაში, ცხადია, ოპოზიციამ შესაძლოა, გადახედოს საკუთარ გადაწყვეტილებას. თუმცა, ეს შეთანხმება ვერ იქნება ისეთ საკითხებზე, რომელიც არის დღეს „ქართული ოცნების“ ინტერესებში, ჩვენი ინტერესია დღეს ქვეყანაში პოლიტიკური გარემოს შეცვლა, მათ შორის იმის, რომ პოლიტიკური ნიშნით არავინ არ უნდა იყოს დაპატიმრებული, — აღნიშნა სალომე სამადაშვილმა.

მისივე თქმით, ოპოზიციაში პრაგმატულ დისკუსიას ვერ ხედავს და უმჯობესია, საერთო მაგიდის გარშემო სამოქმედო გეგმაზე შეთანხმდნენ.

— ოპოზიცია ძალიან მშვიდად პრაგმატულად, ზედმეტი ეგოების შეჯიბრის და არაჯანსაღი მიდგომების გარეშე უნდა დაჯდეს საერთო მაგიდის გარშემო და იმსჯელოს, რა არის მის ინტერესებში.

თუ გვიღირს, რომ 2022 წელს მივიღოთ ხელმოწერილი დაპირება ვადამდელი არჩევნების და ბევრი სხვა პირობების მიყოლებით, შესაძლოა, ამაზე ვიმსჯელოთ. როცა არ უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, ეს ხელისუფლება არის დასრულებული.

არ მომწონს ის პროცესები, რასაც ოპოზიციაში ვხედავ. ამას ეგოების შეჯიბრს დავარქმევდი, პრაგმატულ დისკუსიას ვერ ვხედავ და იმედია, ოპოზიცია ამ ფორმატს მალევე დაუბრუნდება.

ზედმეტი საჯარო თავდასხმების არსსაც ვერ ვხედავ, ალბათ ჯობია, რომ ძალიან საქმიანი დისკუსია ჰქონდეს ოპოზიციას მუდმივად მაგიდის გარშემო და შეთანხმდეს სამოქმედო გეგმაზე, — განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

სამადაშვილის თქმით, რომ არ არსებობდეს მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი, ოპოზიცია ძალიან რთულ მდგომარეობაში იქნებოდა.

— არჩევნების შედეგებით როგორც გაიზომა მიხეილ სააკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ 8 წელიწადია დევნილობაშია, რჩება ქვეყნის ყველაზე პოპულარულ ოპოზიციურ ლიდერად. მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი რომ არ არსებობდეს, ოპოზიცია ძალიან რთულ მდგომარეობაში იქნებოდა. ოპოზიციის წონა იზომება ხმების რაოდენობით, უამრავი სხვა პარტიაა, თუ აქვთ სურვილი, რომ მიიზიდონ ამომრჩეველი, დაე, მიიზიდონ, მაგრამ დღეს ენმ, რომელიც მოიაზრება მიხეილ სააკაშვილის ლიდერობასთან, არის გაცილებით უფრო ძლიერი ოპოზიციური ფლანგი, — განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

რას ნიშნავს და ვის ეხება 2-კვირიანი უქმე დღეები იანვარში

„კანონმდებლობით ამ დღეებში ყველა ვალდებულია დაისვენოს. კანონი არის ძალიან მკაცრი“ — ამის შესახებ, რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ რაისა ლიპარტელიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, წარმოუდგენელია და არც საჭიროება დგას, რომ ორი კვირით ქვეყანა სრულად გაჩერდეს და არავინ იმუშაოს, ამიტომ ლიპარტელიანი იმედოვნებს, რომ უახლოეს დღეებში მთავრობა აღნიშნულ ბუნდოვან დადგენილებაში კორექტირებას შეიტანს.

„ზოგადად უქმე დღეებს საქართველოში განსაზღვრავს შრომის კოდექსი, თუმცა, ამ ბოლო რეფორმამ, რომელიც გატარდა სექტემბრის ბოლოს, მთავრობას მისცა საშუალება, რომ დაედგინა უქმე დღეები დამატებით. პროექტზე მუშაობისას, რა თქმა უნდა, არც პანდემია წარმოედგინა არავის და 2-კვირიან უქმე დღეებზე იყო საუბარი. მოგეხსენებათ, საქართველოში ბევრი ეთნიკური უმცირესობა, სხვადასხვა რელიგიური კუთვნილების ადამიანი ცხოვრობს და მათთვის შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს, კონკრეტული უქმე დღის დაწესება, ამ რეფორმის მიზანიც სწორედ ეს იყო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჩანაწერი იმთავითვე პრობლემური იყო დასაქმებულების უფლებების პერსპექტივიდან, რადგან, ერთი მხრივ, მთავრობას ენიჭება უფლება, რომ უქმე დღეები დააწესოს დამატებით, მეორე მხრივ, დამსაქმებელს მიენიჭა უფლება, რომ ამ უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს შემდეგ ანაზღაურება.

მთავრობის მიერ იანვარში 2-კვირიანი უქმე დღეების გამოცხადების შესახებ მიღებული დადგენილება არის სავალდებულო ყველასთვის, არა აქვს მნიშვნელობა, კერძო თუ საჯარო სექტორი იქნება. დადგენილებაში არის კონკრეტული დღეები განსაზღვრული და რაიმე გამონაკლისს არ მოიცავს. ეს კი უკვე წარმოადგენს პრობლემას, რადგან შეუძლებელია სახელმწიფო საქმიანობდეს და არსებობდეს ისე, რომ გადაუდებელი სერვისების მიწოდება მაინც არ იყოს უზრუნველყოფილი. მეორე მხრივ, გაურკვეველია, თუ როგორ უნდა მოხდეს ანაზღაურება ამ დღეებში, ითვლება თუ არა ეს ზეგანაკვეთურ მუშაობად და ა.შ.

შესაბამისად, ასე ხელაღებით უქმე დღეების 2 კვირით გამოცხადება არის არასწორი და პრაქტიკაში არააღსრულებადი. ამასთან, ბევრი სტრუქტურა ისედაც დისტანციურ რეჟიმში მუშაობს და გაუგებარია, რატომ გახდა საჭირო უქმე დღეების გამოცხადება და რატომ უნდა შეწყვიტონ საქმიანობა თუნდაც მთელმა რიგმა საჯარო სამსახურებმა. შესაბამისად, მოლოდინი გვაქვს, რომ ამ დღეებში დაკონკრეტდება ეს დადგენილება. გამოიყოფა სექტორები, სადაც დაშვებული იქნება მუშაობა.

თუ დადგენილება არ დაკორექტირდება, კანონმდებლობით ყველა ვალდებულია დაისვენოს ამ დღეებში. კანონი არის ძალიან მკაცრი. ამასთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ 1-ელი იანვრიდან გაზრდილი მანდატით შრომის ინსპექციაც ამოქმედდება, რომლის აღსრულების ნაწილი ამ დადგენილების აღსრულებასაც გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ თუ უქმე დღეებია გამოცხადებული და დამსაქმებელი ან დასაქმებული მაინც აგრძელებს მუშაობას, უნდა მოხდეს სანქცირება. სანქციის სახით არის როგორც გაფრთხილება, ასევე ჯარიმა, 200 ლარიდან 1000 ლარამდე, შესაძლოა ფინანსური სანქცია გასამმაგდეს კიდეც“ — განაცხადა ლიპარტელიანმა.

შეგახსენებთ, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, 2021 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით და 8 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით დღეები უქმე, ანუ დასვენების დღეებად ცხადდება. აღნიშნული გადაწყვეტილება საკოორდინაციო საბჭომ ქვეყანაში კორონავირუსის გამო შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მიიღო.

„ქვეყანას პატრონი არ ჰყავს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნება“ ეჭიდავება ოპოზიციას, ამით საქართველო კარგს არაფერს მიიღებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– პატონო პაატა, წლის ბოლო დღეა, ამ წლის ბოლო ინტერვიუ. როგორია თქვენი შეფასებები, როგორი იყო განვლილი წელი? რას მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად? ხელისუფლება ამაყად აცხადებს, რომ პარლამენტში ხუთი ოპოზიციური პარტია შემოდისო. შეთანხმდა ხელისუფლება და ოპოზიცია თუ რატომ არის საკუთარ განცხადებებში ასეთი თავდაჯერებული?

– ხელისუფლებას სხვა არაფერი არ დარჩენია, გარდა თავდაჯერებულობისა. აშკარად ჩანს, რომ არ გამოდის ის, რაც მას უნდოდა. პარლამენტის პირველ სხდომაზეც გვპირდებოდნენ, რომ ყველაფერი კარგადაა და ოპოზიციას იხილავთ პარლამენტშიო, თუმცა არავინ არ შესულა. ზოგადად თუ შევაფასებთ, გასული წელი უაღრესად მნიშვნელოვანი და კრიტიკული იყო მთელი მსოფლიოსთვის.

– რა მოვლენებს გამოყოფდით?

– კრიტიკული არა მარტო პანდემიის გამო, თუმცა პანდემიამ მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ბევრ იმ მოვლენას, რაც მოხდა. მაგალითად, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არა პანდემია, ალბათ ამერიკაში ტრამპი ისევ გაიმარჯვებდა. პანდემიამ კი აშკარად შეცვალა ამერიკაში არჩევნების ბედი, რაც საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანი იყო წლევანდელი წელი ევროკავშირისთვის. აქ პანდემია არაფერ შუაში არაა, მარამ ბრექსიტმა გამოიწვია სერიოზული რყევები ევროკავშირში. ეს ჩვენც შეგვეხება მეტნაკლებად. ვფიქრობ, რომ უფრო დადებითად, რადგან ბრიტანეთს დამოუკიდებელი პოლიტიკა ექნება საქართველოსთან და დამატებითი რესურსი გვექნება ჩვენ. ასევე რუსეთში მოხდა სერიოზული ცვლილებები, რაც ჩვენ პირდაპირ გვეხება.

– კერძოდ?

– ეს არის ის, რომ პუტინმა გაიმყარა პოზიციები, ჩატარდა რეფერენდუმი და სულ მცირე 15 წლით, თუ უფრო მეტი ხნით არა, პუტინმა გაიმყარა პოზიციები და ეს გააკეთა არა საკუთარი კომფორტისთვის, არამედ კონკრეტული გეოპოლიტიკური ცვლილებებისათვის. ბელორუსიის, უკრაინისა და კავკასიის მიმართულებითაც. სერიოზული რეგიონალური, ასე ვთქვათ, მიწისძვრა, ბოლო 100 წლის განმავლობაში, პირველად მოხდა კავკასიაში, ყარაბაღის კონფლიქტის მიმართულებით. ყველაფერი რაც ხდება, მეტნაკლებად ჩვენც უნდა გვეხებოდეს და ჩვენ ამას არ ვიღებთ.

„ხაზარაძე 2022 წელს ეპოტინება, რაც აშკარად უცნაურია“

– არ ვიმჩნევთ?

– დიახ. არ გვცალია ჩვენ არამარტო ამ პროცესების შესაფასებლად, შიგნით ქვეყნისთვისაც კი არ გვცალია, იმდენად გართულია პოლიტიკური ძალები, ხელისუფლების გადასარჩენად ან ხელისუფლების მოსაპოვებლად. სხვა არაფერი აინტერესებთ. ეს, რა თქმა უნდა, არის ყველზე უფრო დამაფიქრებელი. ამ წლის შედეგი არის ის, რომ პოლიტიკოსები არ ფიქრობენ სახელმწიფოზე. ისინი ფიქრობენ მხოლოდ თავის თავზე. ეს დაახლოებით იგივეა, ჩვენ ტელევიზორში ვუყურებდეთ მაღალი კლასის ფეხბურთის გუნდებს, ბარსელონა და რეალი რომ თამაშობენ და მათი არც წაგება და არც მოგება საქართველოს არანაირ სარგებელს არ აძლევს. „ქართული ოცნება“ ეჭიდავება ოპოზიციას, ამით საქართველო კარგს არაფერს არ მიიღებს და ცუდი შეიძლება მიიღოს, იმიტომ, რომ პატრონი არა ჰყავს. ეს პროცესი შემდეგ წელსაც გაგრძელდება, მაგრამ, არა მგონია, რომ გამძაფრდეს, იმიტომ რომ, რაც მოხდა, მოხდა...

– თითქოს ოპოზიციაშიც მინელდა მუხტი. თქვენ რას ფიქრობთ, ასეა?

– ხალხი არ გამოყვა. ოპოზიცია მიხვდა, რომ ხალხში არაა პოპულარული. კი, „ქართული ოცნებაც“ იდეალურად პოპულარული არაა, მაგრამ ოპოზიცია კიდევ უფრო მეტად არაპოპულარულია. გაუმარჯოს ბელორუს ხალხს, ნახეთ, როგორ იქცევა. ყოველ შაბათ-კვირას გამოდიან და დღემდე აპროტესტებენ არჩევნების შედეგებს და გავრილოვის ღამე იქ ყოველდღე ტარდება. დღეს ბელორუსი ხალხი ჩვენზე ბევრად წინაა, ის აპროტესტებს ამას. ქართველი ხალხი დაიღალა თუ განსხვავება ვერ დაინახა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ფაქტია, რომ არ გამოდის. ამ ფონზე, აშკარად ჩანს, რომ ოპოზიცია ჩაფლავდა. ვერ მოახერხა თავის სიმართლის დამტკიცება ვერც საზოგადოების და ვერც უცხოელების წინაშე. უცხოელები ხედავენ, რომ ეს არჩევნები იდეალურ დონეზე არ ჩატარებულა, მაგრამ არც იმაზე უარესად ჩატარებულა, როგორც, მაგალითად, 2008 წელს ჩატარდა.

– რა გამოიკვეთა, რომ დასავლეთმა მაინც ხელისუფლების მხარე დაიჭირა ამ პროცესში?

– არა, გამოიკვეთა ის, რომ დასავლეთმა სტაბილურობის მხარე დაიჭირა, ისევე, როგორც 2008 წელს, როცა საპაკაშვილი ძლიერი იყო და შეარჩინეს ის გაყალბება. ცხადია, 2008-ში უფრო უნამუსოდ იყო გაყალბებული, ვიდრე ახლა. ეს არჩევნები არის გაყალბების ერთ-ერთი ვარიანტი, მაგრამ არა რეკორდული. უფრო უარესი გაყალბებებიც გვინახავს.

– ანუ არ იყო იმ დონით გაყალბება, რომ ამას ხალხი ქუჩაში გამოეყვანა?

– ასეა. 2008 წლის გაყალბებასთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს საბავშვო ბაღია.

– პატონო პაატა, თავად ოპოზიციაშიც აღარ არის ერთსულოვნება. გამოიკვეთა ერთი ნაწილი, რომელსაც სურვილი აქვს პარლამენტში შესვლის და ამას აღარც მალავენ.

– ელისაშვილი აღარ მალავს და ორი კაცი შევა. საკითხავია, ეს საქმეს რამდენად არგებს.

– მამუკა ხაზარაძეზეც ამბობენ, რომ მასაც აქვს პარლამენტში შესვლის სურვილი.

– ხაზარაძე ასე ღიად არ ამბობს და 2022 წელს ეპოტინება. რაც აშკარად უცნაურია.

– საიდან მოვიდა 2022 წელი?

– ლოგიკა ნორმალურია საკმაოდ. 2021 წელს ჩატარდება ადგილობრივი არჩევნები. ეს წელი იქნება ისევ „ოცნების“ წელი. „ოცნებას“ სუსტი პოლიტიკოსები ჰყავს, მაგრამ საკმაოდ კარგად ხარჯავენ ფულს. მით უმეტეს, ადგილობრივი არჩევნები არ არის პოლიტიზირებული ისე, როგორც საპარლამენტო. ამიტომ ადგილობრივი არჩევნებისთვის აურაცხელი ფული დაიხარჯება როგორც ბიუჯეტის, ისე სხვა წყაროებიდან. გაკეთდება გზები, ხიდები, სკოლები, სკვერები და ასე შემდეგ. ამის გამო ბევრი ისევ მისცემს ხმას. ეს წელიც მათი იქნება. წლის მიწურულს ელექტროენერგიაზე ტარიფმა მოიმატა, მაგრამ სახელმწიფომ ესეც თავის თავზე აიღო და თქვა, ჩვენ გადავიხდით ერთი წელი ამის ფულსო. რატომ ერთი წელი? იმიტომ, რომ არჩევნებია ერთ წელიწადში. მერე რა იქნება, არ ადარდებთ, ოთხი წელი არჩევნები აღარ იქნება. ამიტომ ლელომ გათვალა 2022 წელზე, რომ იქნებ ჩაფლავდეს „ოცნება“ ადგილობრივ არჩევნებზე, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ მათი ლეგიტიმურობა. „ქართული ოცნება“ მოკვდება და არ წავა ვადამდელ არჩევნებზე ადგილობრივ არჩევნებამდე. ანუ უახლოეს ერთ წელიწადში. დღეს კი გაიძახის „ოცნება“ შემოდით პარლამენტშიო და სინამდვილეში სულაც არ აწყობს ოპოზიციის შესვლა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ეტყვიან ხალხს, ვის აპირებთ, რომ ხმა მისცეთ, აი ამათ? პარლამენტში რომ არ შემოვიდნენ?! ისინი არც საკრებულოში არ შემოვლენ და დაგტოვებენ ისე. ძალიან კარგ პიარსამსახურს უწევს ოპოზიცია ხელისუფლებას.

– ამას ოპოზიცია ვერ ხვდება? ზოგჯერ ჩნდება ხოლმე კითხვები, ივანიშვილის თამაშს ხომ არ თამაშობენო?

– საპაკაშვილზე სულ მაგას ვამბობდი, რომ ივანიშვილის თამაშს თამაშობს-მეთქი. დღეს ნაციონალურმა მოძრაობამ წამოიკიდა დანარჩენი ოპოზიცია. ზოგს უნდა შესვლა, მაგრამ დღეს უკვე გვიანაა. ოპოზიცია უკვე წაგებულია, გინდ ასე და გინდ ისე. თუ შესვლა უნდოდათ, ეს უნდა ექნათ თავიდანვე, უნდა განეცხადებინათ, რომ ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას პარლამენტში. ყველა არც შევა. ნაცმოძრაობას ურჩევნია გარეთ დარჩეს. ეს საინტერესო თემაა, ვინც გარეთ დარჩება, მას მეტი შანსი ექნება, რომ 2024 წელს გაიმარჯვოს. ვინც გარეთ დარჩება, ის იქნება ნამდვილი ოპოზიცია. ვინც შევა...

– მას იმიჯი შეელახება.

– აი, ზუსტი შეფასებაა. ასეა ზუსტად. როგორც ჩანს, ნაცმოძრაობას სტრატეგიულად აქვს გათვლილი გარეთ დარჩენა. 2024 წელს არჩევნები იქნება მხოლოდ პროპორციული და 5%-იანი ბარიერით. ასე რომ, ძალიან ბევრი პარტია გარეთ დარჩება. ნაცმოძრაობა, ასე თუ ისე, მაინც შევა. ამიტომ ურჩევნია დღეს გარეთ დარჩეს და მერე თავაწეული შევიდეს. შეინარჩუნოს იმიჯი ნამდვილი ოპოზიციისა. 2024 წლის არჩევნები, ეს არის უნიკალური შანსი პარტიებისათვის. ახალი ეპოქა იწყება საქართველოში.

თბილისთან ურთიერთობის ინიციატივამ აფხაზეთში პროტესტი გამოიწვია

შეიტანს თუ არა ბჟანია ცვლილებებს „საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში“?

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, ასლან ბჟანიას ინიციატივამ თბილისთან დამატებითი ფორმატის მრავალდონიანი მოლაპარაკებების თაობაზე, ალიაქოთი და პროტესტიც კი გამოიწვია.

ეს ინიციატივა ჩაწერილია „საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში“, რომელიც დეკემბრის დასაწყისში გამოქვეყნდა. ამგვარ დოკუმენტებს აფხაზეთში დეფაქტო პრეზიდენტები ადგენენ. კონცეფციაში ნათქვამია, რომ დასაშვებია პირობების შექმნა „საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის მრავალდონიანი მოლაპარაკებებისათვის, სადაც იმსჯელებენ ორმხრივად საკითხებზე, რომელთა განხილვა ვერ ხერხდება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე.

კონცეფციის ამ ნაწილს ისეთი ხმაური მოჰყვა, რომ აფხაზეთის პარლამენტის სამსჯელო გახდა.

ოპონენტებმა განაცხადეს, რომ აფხაზებს ქართველებთან სალაპარაკო არა აქვთ. გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართველებთან მოლაპარაკებების დამატებითი ფორმატის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თბილისი აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

კონცეფციას ნაჩქარევად შემუშავებული უწოდეს. დეპუტატებმა გამოთქვეს იმედი, რომ კონცეფცია გადაიხედება.

წავა თუ არა დათმობაზე ასლან ბჟანია? პუბლიცისტ ინალ ხაშიგის შეფასებით, პრეზიდენტი კონცეფციას არ შეცვლის, თუმცა ის თავის მოქმედებებში უფრო ფრთხილი გახდება. აფხაზეთის არც ერთ პრეზიდენტს არ აქვს უფლებამოსილების ამოწურვის გარანტია. ასლან ბჟანიასაც დიდი გამოწვევები ელის, ამიტომ ის ფეთქებად სიტუაციას მოლაპარაკებათა პროცესის ფორმატების გადაკეთებით არ დაამძიმებს.

როგორც ცნობილია, ასლან ბჟანია თბილისთან მოლაპარაკებების სურვილს ყოველთვის გამოთქვამდა. ხაშიგის თქმით, თბილისმა ეს სიგნალები არაადეკვატურად მიიღო.

ასლან ბჟანიას კონცეფციის „ქართული ნაწილის“ გამო არასაპარლამენტო ძალები – საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პარტიებიც დაუპირისპირდნენ.

„აიდგილარამ“ და „აბააშმა“ ბჟანიას პრეტენზიები და კითხვები წერილობით გაუგზავნეს.

ხომ არ იგეგმება ქართულ-აფხაზური ბიზნესპროექტები ენერგეტიკის სფეროში? -დაინტერესდნენ ორგანიზაციები.

ავტორები შეეხნენ რამდენიმე თვის წინანდელ ფაქტსაც, როცა აფხაზეთში გადავიდნენ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები. ვისგან და როდის შეიტყო ამის შესახებ ბჟანიამ? ვის დაეკისრა ამის გამო პასუხისმგებლობა? კიდევ ხომ არ იგეგმება ქართველი პოლიტიკოსების ენგურზე გადასვლა? – ამ შეკითხვებით მიმართავენ ორგანიზაციები ადრესატს.

თბილისთან სხვა ფორმატის მოლაპარაკებების ინიციატივა გააპროტესტა „აფხაზეთის ერთიანობის ფორუმმა“.

ორგანიზაციისთვის საქართველო ვერაგი და საშიში აგრესორია, რომელმაც მეოცე საუკუნეში არაერთხელ მოაწყო აფხაზების გენოციდი, გაანადგურა აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა და ეწეოდა აფხაზი ხალხის ასიმილაციას.

„ფორუმი“ ირწმუნება, რომ დღეს საქართველო აფხაზეთს იზოლაციაში აქცევს და ერევა ჰუმანიტარულ და კულტურულ ურთიერთობებშიც კი. ამ სიტუაციაში აგრესორთან დამატებითი მოლაპარაკებები დაუშვებელია.

საერთოდ, 2020 წელი ოკუპირებულ აფხაზეთში დინამიკური გამოდგა. ბჟანია-ანქვაბი-შამბას გუნდი ხელისუფლებაში იანვრის ხმაურიანი მოვლენების შემდეგ მოვიდა და ქართველებთან დიალოგის მზადყოფნა რამდენჯერმე გამოთქვა.

ამ პერიოდში რუსეთი აძლიერებდა აფხაზეთის ოკუპაციას. ამის ერთი მაგალითია რუსეთსა და აფხაზეთს შორის ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის შესახებ პროგრამის დამტკიცება. მისი ამოქმედება მომავალ წელსაც გაგრძელდება.

2020 წელს სირიაში გაიხსნა აფხაზეთის ე. წ. საელჩო. აფხაზი დიპლომატები პირობას დებენ, რომ აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებისთვის მუშაობას გააგრძელებენ. განსაკუთრებით, სამხრეთ ამერიკისა და აზიის რეგიონში.

როგორც ჩანს, მომავალი წელი თბილისისთვის ამ მიმართულებითაც რთული იქნება.

აკაკი ბობოხიძე: „საქართველომ დემოკრატიის ტესტი ვერ ჩააბარა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დნენ, რომელთა რაიონებშიც პარტია მიიღებდა მეტ ხმას, ანუ ამომრჩეველი გადაწყვეტდა, ვინ რომელ ადგილზე უნდა ყოფილიყო. ადამიანების ხმებზე იქნებოდა დამოკიდებული, ვინ იქნებოდა წარმოდგენილი პარლამენტში „ევროპული საქართველოდან“. არ ვიცი, ამაზე მეტი რა უნდა გააკეთო?!

შიდა პარტიული დემოკრატიის განმტკიცება შიდა დისკუსიის საგანია. საინტერესო იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მაგალითიც. ერთმანეთისგან, რა თქმა უნდა, ვსწავლობთ, რაც შიდა დემოკრატიის გაძლიერებას მოემსახურება, მას გავითვალისწინებთ.

– რა მოლოდინით ხვდებით 2021 წელს?

– იმედი მაქვს, რომ 2021 წელი იქნება აქტიური პოლიტიკური წელიწადი. ვეცდებით შევქმნათ გარემო, რომ „ქართული ოცნება“ იძულებული გახდეს დააბრუნოს მიტაცებული ხელისუფლება.

– წლის ბოლოს რაღაცა ქიშპობა და აზრთა სხვადასხვაობა წამოვიდა და ეს პრობლემები მოგვარებადია?

– აზრთა სხვადასხვაობა პარტიის შიგნით და ოჯახის წევრებს შორის არსებობს ხოლმე. ყველა პარტიას აქვს თავისი ამოცანა და ინტერესები. იმ საკითხებზე, რაზეც გვაქვს საერთო ინტერესები, ერთიანი ვართ, ხოლო მის მიღმა, რა თქმა უნდა, ერთმანეთის მიმართ კონკურენცია გვაქვს. პარტიები ერთდროულად იქნებიან ერთმანეთის პარტნიორებიც და კონკურენტებიც.

მაგალითად, ბურჯანაძესთან პარტნიორები ვართ იმაში, რომ გვაქვს საერთო ინტერესები საარჩევნო საკითხებზე, მაგრამ პოლიტიკური ვექტორის თვალსაზრისით, განსხვავებული და მოწინააღმდეგეებიც კი.

– ამ ბოლო პერიოდში ნაკლებად ჩანს თქვენსა და ნინო ბურჯანაძეს შორის განსხვავებები.

– იმიტომ, რომ წინა პლანზე წამოვიდა ის ამოცანა, რომელიც საერთოა.

პირობითად, „სისხლიან 9 წელზე“, როდესაც ვამბობთ, რომ შიგნიდან მქონდა პროტესტი, პასუხი ისმის, რომ შენი პროტესტი არავის გაუგონია. თუ პროტესტი ისმის და დისკუსიები ღიაა, მერე ისმის მეორე პრეტენზია – ერთმანეთს ჭამთ? ხალხიც უნდა გაერკვეს – უნდათ, რომ პარტიების შიდა დისკუსია ისმოდეს თუ არა?! პრობლემა მარტო პოლიტიკურ ნაწილში არ არის, ზოგადად არის საზოგადოებაში და ჩვენი პოლიტიკის წარმომადგენლებიც ხომ ჩვენი წარმომადგენლები არიან? არაფრით არ განვსხვავდებით იმ ადამიანებისგან, ვისაც წარმოვადგენთ. უნდა ავირჩიოთ პრიორიტეტები – უნდა ვისმენდეთ თუ არა აზრთა სხვადასხვაობას თუ ეს პარტიის შიდა საქმეებად უნდა დარჩეს. ჩემი აზრით, პირველი სჯობს.

– ჩემი აზრითაც საჯარო დისკუსია უკეთესია.

– სჯობს იყოს საჯარო, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილში ეს საჯარო დისკუსია გულგატეხილობას იწვევს. ამას უნდა შევეგუოთ.

ადვოკატი ჭიკაიძე: „საბა გოგშელიძეს, ირაკლი წაქაძეს და საბა ჩხარტიშვილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდებათ“

ადვოკატ დავით ჭიკაიძის განცხადებით, გიორგი შაქარაშვილის საქმეზე დაკავებულ 3 პირს შესაძლოა საპროცესო შეთანხმება გაუფორმდეს.

საბა გოგშელიძის, ირაკლი წაქაძისა და საბა ჩხარტიშვილისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე თანხმობას განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებული და ასევე დაზარალებულად ცნობილი ვახტანგ ჩიქოვანი აწერს ხელს.

საქმე ეხება ე.წ „აგარაკის“ ეპიზოდის მონაწილე სამ ბრალდებულს, რომელთაც გამოძიება ძალადობას და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას ედავება.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას საბა ჩხარტიშვილის ადვოკატმა, დავით ჭიკაიძემ აღნიშნა, პროკურატურა საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობას იმ შემთხვევაში აცხადებდა, თუ დაზარალებული ვახტანგ ჩიქოვანისგან თანხმობა ექნებოდათ.

არსებული რეალობიდან გამომდინარე კი, აქვთ მოლოდინი, რომ შესაძლოა გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება და აღნიშნული პირები გათავისუფლდნენ.

– ვახტანგ ჩიქოვანმა დააფიქსირა პოზიცია, რომ პრეტენზია არ აქვს, საპროცესო შეთანხმება გაუფორმდეთ ბრალდებულებს. ეს ხელწერილი, ჩემი ინფორმაციით, უკვე წარდგენილია პროკურატურაში, შემდეგი ეტაპი უკვე არის საპროცესო შეთანხმების გაფორმება, თუ პროკურატურისთვის ამ ფორმით წარდგენილი ხელწერილი საკმარისი იქნება. პროკურატურისგან გვაქვს ინფორმაცია, რომ საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობას აცხადებდნენ, თუ იქნებოდა ჩიქოვანისგან თანხმობა. შესაბამისად, ამ არსებული რეალობიდან გამომდინარე გვაქვს მოლოდინი, რომ შესაძლოა გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება.

ის მოხდილი სასჯელი, რაც გაატარეს მათ საპატიმრო დაწესებულებაში, საკმარისი უნდა იყოს და უნდა მოხდეს მათი გათავისუფლება. აქვე გეტყვით, რომ შესაძლოა არა მხოლოდ საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს, არამედ ამნისტიის აქტიც გავრცელდეს საბა ჩხარტიშვილზეც იმიტომ, რომ 126-ე და 120-ე მუხლებზე ამნისტიის აქტიც ვრცელდება.

შემდეგი სასამართლო სხდომა 11 იანვარს არის ჩანიშნული, თუმცა არ გამოვრიცხავ, 11 იანვრამდე რიგგარეშე სხდომა ჩაინიშნოს და ამ სხდომაზე მოხდეს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, – აღნიშნა დავით ჭიკაიძემ

შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ჯამში 17 პირია დაკავებული. მათგან 11 სრულწლოვანს ძალადობას, ძალადობის ორგანიზებას, მასში მონაწილეობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას ედავებიან.

სამმა პირმა – არჩილ გაგნიძემ, ვახტანგ ჩიქოვანმა და ნიკოლოზ რევაზიშვილმა – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აირჩია, მათ საქმეს გორის რაიონული სასამართლო განიხილავს.

ამ ეტაპზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევა მიმდინარეობს.

ფონიჭალაში 9 ნარკორეალიზატორი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამთვიანი ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკორეალიზატორთა დანაშაულებრივი სქემა გამოავლინეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, ფონიჭალის

დასახლებაში 9 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულები არიან: 1981 წელს დაბადებული ა.ხ., 1992 წელს დაბადებული ე.კ., 1987 წელს დაბადებული მ.მ., 1985 წელს დაბადებული ღ.ვ., 1986 წელს დაბადებული ი.ი., 1988 წელს დაბადებული ღ.გ., 1994 წელს დაბადებული ნ.ა., 1998 წელს დაბადებული ნ.ფ. და 1973 წელს დაბადებული ღ.კ.

დაკავებულებს ბრალად ედებათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები სისტემატურად ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალებები – „ჰეროინი“ და „მეტადონი“, ასევე, ფული და მობილური ტელეფონები ნივთმტკიცებად ამოიღო.

წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2020 წლის განმავლობაში 71 ნარკორეალიზატორი დააკავა, გამოვლენილია ნარკოტრანზიტის სქემა და ამოღებულია 40 კგ „ჰეროინი“. პასუხისგებაში მიცემულია ნარკოტიკებით ონლაინვაჭრობაში ჩართული 16 პირი, დაიხურა

13 ინტერნეტ ნარკოსარეალიზაციო მაღაზია; გამოვლენილია ფსიქოაქტიური ნივთიერების დამამზადებელი ნარკოლაბორატორია; უკანონო ბრუნვიდან სულ ამოღებულ იქნა: 89 კილოგრამი „ჰეროინი“; 1 კილოგრამი „კოკაინი“; 7 000 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“; 6 კილო და 500 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები.

სროლა დიღმის სასაფლაოზე 6 წლის წინ იტალიაში მოკლულ გიორგი ბურდულს უკავშირდება

29 დეკემბერს მომხდარი სისხლიანი დაპირისპირება სოფელ დიღმის სასაფლაოზე, სადაც ორი ადამიანი დაჭრეს, კანონიერი ქურდის გიორგი ბურდულის, იგივე გიორგი დიდუბსკის, ხსოვნისადმი მიძღვნილ თავშეყრას უკავშირდება.

ამ დროისთვის ცნობილია, რომ დიღმის სასაფლაოზე ოთხჯერ გაისროლეს. ერთ-ერთი ვერსიით, თავშეყრაზე მყოფმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და იქ მყოფთაგან ორი ადამიანი დაჭრა. დაშავებულები კლინიკაში გადაიყვანეს. ახლომახლო მცხოვრებლებმა „მთავარს“ უთხრეს, რომ შესაძლოა, სროლა ორმხრივი იყო.

გიორგი ბურდულს თავს 2014 წლის 29 დეკემბერს ნეაპოლში დაესხნენ. თავის საცხოვრებელ ბინაში, კომპიუტერთან მჯდომ ბურდულს სნაიპერმა ფანჯრიდან ესროლა. ტყვია მას თავში მოხვდა.

გიორგი ბურდული ცოტა ხანს კომაში იყო, რის შემდეგაც ის გარდაიცვალა.

გიორგი ბურდულმა თბილისში, დიდუბეში მდებარე 155-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. ის საქართველოს სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის შემდეგ, 2013 წლის ივნისში საბერძნეთში „მოინათლა.“

მისი მკვლელობის ერთ-ერთ მოტივად კრიმინალურ კლანებთან კონფლიქტი სახელდება.

თეთრიწყაროში სახლზე თავდასხმის მომზადების ბრალდებით 2 მოზარდი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული 2 არასრულწლოვანი – რ.კ. და ბ.ხ. ჯგუფური ყაჩაღობის მომზადებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავეს.

დანაშაული 4-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები თეთრიწყაროში, ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლზე ყაჩაღურ თავდასხმას გეგმავდნენ, თუმცა, სამართალდამცველების ოპერატიული რეაგირების შედეგად, განზრახვა ვერ განახორციელეს.

პოლიციამ ორივე მათგანი თეთრიწყაროში იმ დროს დააკავა, როდესაც ისინი სახლზე თავდასხმას აპირებდნენ. სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: დანაშაულის ჩასადენად მომზადებული ნიღბები, ხელთათმანები, ასევე, გადაჭრილი თოფი 2 საბრძოლო ვაზნით და გადაკეთებული აირის პისტოლეტი.

ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობის ჯგუფურად მომზადებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 18-179-ე მუხლის მე-2 ნაწილის და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და ასევე, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

თელავში ლალი კბილაშვილი დაჭრეს

„მას ჩემი ძაღლი გაეკიდა“

ინციდენტი მოხდა თელავში – ცხოველთა დაცვის ფედერაციის წევრი ცივი იარაღით სახეზე დაჭრეს. ლალი კბილაშვილი ამბობს, რომ ერთ-ერთმა ადგილობრივმა, რომელსაც მისი ძაღლი გაედევნა, ჯერ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი სახე დაუზიანა.

ადგილზე სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადა და სამართალდამცავები იმყოფებოდნენ. დაზარალებული ექსპერტიზაზე გადაიყვანეს.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ძაღლების მიზეზით, ქალაქში დაპირისპირება ხდება. ცხოველთა თავშესაფარი რეგიონში ამ დრომდე არ არსებობს, რაც მოსახლეობას მუდმივ საფრთხეს უქმნის.

ლალი კბილაშვილს ძაღლების თავშესაფარი საკუთარ სახლში აქვს მოწყობილი.

რუსთავთან ტოიოტა მერსედესს დაეჯახა

3 ადამიანი დაშავდა

29 დეკემბერს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავი-თბილისის ავტობანზე.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, მაგისტრალზე ტოიოტას მარკის ავტომობილს მერსედესის მარკის ავტომობილი დაეჯახა. ავარიის დროს გაჩერებულ ავტომობილს კი უკნიდან ასევე მერსედესის მარკის ავტომობილი დაეჯახა.

შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ავტომობილები ინერციით სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილდნენ.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციის, სამაშველო სამსახურისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს 3 ახალგაზრდა დაშავდა, რომლებიც უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 525 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 525 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 95 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 430 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

მართლწესრიგის ოფიცრებმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში დაიწყეს მუშაობა

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მართლწესრიგის 40-მა ოფიცერმა დაიწყო მუშაობა.

მართლწესრიგის ოფიცრები აქამდე, თბილისის მასშტაბით, ვაკე-საბურთალოსა და ძველი თბილისის რაიონებში მუშაობდნენ.

მართლწესრიგის ოფიცერი საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელია, რომელიც მსოფლიოში დანაშაულის პრევენციის აპრობირებული ინსტრუმენტია. მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენციაში შედის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მის ფუნქცია-მოვალეობებში, ასევე, შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება და ა.შ.

ოფიცრების შერჩევა მოხდა კონკურსის წესით. კონკურსში გამარჯვებულმა კანდიდატებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რამდენიმეთვიანი ინტენსიური პროფესიული სწავლება გაიარეს.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ჯერ დედაქალაქის მასშტაბით, ყველა უბანში, ხოლო მოგვიანებით, ეტაპობრივად, მთელ საქართველოში დაინერგება.

საერთაშორისო

აფეთქება იემენის აეროპორტში

30 დეკემბერს იემენში, ქალაქ ადენის აეროპორტში აფეთქება მოხდა. ტერორისტება აფეთქება მაშინ მოაწყვეს, როდესაც აეროპორტში იემენის თვითმფრინავი დაეშვა, რომელშიც ახალი მთავრობის წევრები იმყოფებოდნენ.

ბორტს, რომელიც საუდის არაბეთიდან ჩაფრინდა ადენში, უამრავი ადამიანი დახვდა.

მინისტრთა კაბინეტის წევრები, მათ შორის პრემიერ-მინისტრი მაინ აბდულმალიკი, ქალაქში მდებარე პრეზიდენტის სასახლეში უსაფრთხოდ გადაიყვანეს.

თავდასხმას სულ მცირე 13 ადამიანი ემსხვერპლა. დაჭრილია ათეულობით მოქალაქე.

ახლად შექმნილი მთავრობა პრეზიდენტ აბდრაბუ მანსურ ჰადის მთავრობასა და სამხრეთელ სეპარატისტებს აერთიანებს. ამ ორი ჯგუფის ალიანსი, რომელსაც საუდის არაბეთი უჭერს მხარს, ირანის მიერ მხარდაჭერილ ჰუსიტებს ებრძვის, რომლებიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს აკონტროლებენ.

ირანის პრეზიდენტი: „გენერალ ყასემ სულეიმანის მკვლელობისთვის შური ბოლომდე არ გვიძიებია“

ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი მოკლული გენერლის ყასემ სულეიმანის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე შურისძიებაზე საუბრობს.

როგორც ჰასან რუჰანმა განაცხადა, ირანს ჯერ საბოლოოდ არ უძიებია შური, ვიდრე ამერიკელების რეგიონში ყოფნა არ დამთავრდება.

– თქვენ მოკვეთეთ ჩვენს გენერალს ხელი და ჩვენ ფეხი უნდა ამოგიკვეთოთ ამ რეგიონიდან. მანამდე, ვიდრე თქვენ ამ რეგიონში ხართ, ჩვენ საბოლოოდ არ გვიძიებია შური. მომდევნო დღეებში დასრულდება ულმობელი მკვლელის მმართველობა, რომელმაც მრავალი დანაშაული ჩაიდინა და მისი ცხოვრება და ისტორია სანაგვეზე დარჩება.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ ტრამპიზმის ერა მანამდე დასრულდა, ვიდრე სულეიმანის მოწამეობრივი სიკვდილიდან წლისთავი შესრულდება, – განაცხადა ირანის პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, იანვარში, აშშ-ის სამხედროების მიერ ბაღდადის აეროპორტში განხორციელებული ოპერაციის დროს, ირანელი სამხედრო მაღალჩინოსანი ყასემ სულეიმანი დაიღუპა.

ნავალნის წინააღმდეგ საქმე აღძრეს

რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტმა ალექსეი ნავალნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ნავალნის აბრალებენ კორუფციასთან ბრძოლის ფონდის კუთვნილი 356 მილიონი რუბლის მითვისებას. ნავალნი ამ ფონდის ხელმძღვანელია.

– პუტინი ისტერიკაშია! – ასეთია მომხდარზე ნავალნის კომენტარი.

რუსი ოპოზიციონერი კვლავინდებურად გერმანიაში იმყოფება. ის სარეაბილიტაციო კურსს გადის.

ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, მას 10 წლით პატიმრობა ემუქრება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

აბუსერიძე პრეზიდენტია, ხურციძე არჩევნებს არალეგიტიმურს უწოდებს

როგორც იქნა, საქართველოს რაგბის კავშირს ახალი პრეზიდენტი ჰყავს – ირაკლი აბუსერიძე. თუმცა, ეს ყველაფერი ასე რომ არ დამთავრდება, ამის წინაპირობაც ჩანს...

არჩევნები დაახლოებით 1 წლის წინ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, მისი გამართვა 30 დეკემბერს მოხერხდა. 3 კანდიდატიდან ყრილობას მხოლოდ 2 დაესწრო – აბუსერიძე და გოჩა სვანიძე. მე-3 კანდიდატი ბაჩო ხურციძე ამ ყრილობასაც უკანონოდ მიიჩნევს და არ დასწრებია.

ასეა თუ ისე, ყრილობა შედგა და აბუსერიძემ აშკარა უპირატესობით იმარჯვა.

არჩევნებში მონაწილეობა 82 დელეგატიდან 43-მა მიიღო, ქვორუმისთვის კი საჭირო 41 დელეგატი იყო. 31-მა მხარი აბუსერიძეს დაუჭირა, სვანიძეს მხოლოდ 10 მომხრე ჰყავდა, 2 ხმა კი გაბათილდა. შედეგად, საქართველოს რაგბის კავშირს მომდევნო 4 წელი აბუსერიძე უხელმძღვანელებს, თუკი ხურციძის მხარემ შედეგები არ გააპროტესტა და კიდევ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა.

ის 39 დელეგატი, რომელიც ყრილობაზე არ გამოცხადდა, ხურციძის მხარდამჭერებად მიიჩნევა. სწორედ ხურციძე და მისი მხარდამჭერი კლუბები აღნიშნულ არჩევნებს არალეგიტიმურს უწოდებენ და მონაწილეობაც ამიტომ არ მიიღეს.

ახალი პრეზიდენტის, აბუსერიძის გუნდი ხურციძეს სამთავრობო რესურსის გამოყენებაში სდებს ბრალს. საინიციატივო ჯგუფის წევრები „ქართული ოცნების“ დეპუტატის გივი ჭიჭინაძის სახელსაც ასახელებენ. მათი თქმით, ჭიჭინაძე მუნიციპალურ კლუბებს არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდებს.

43 წლის აბუსერიძე 9 ნომრის პოზიციაზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით 2000-13 წლებში თამაშობდა და 85 მატჩში 40 ქულა აქვს მოგროვებული.

ის ფრანგული ორიაკის, ორლეანისა და ოსერის ღირსებასაც იცავდა.

დინამოები წმენდას და შევსებას იწყებენ

თითქმის ერთი თვეა ფეხბურთში ეროვნული ლიგა დასრულდა და მომავალი წლისთვის კონტურები გამოიკვეთა. გუნდები ნელ-ნელა დაიწყებენ ახალი სეზონისთვის მზადებას, მაგრამ მანამდე დიდი ცვლილებები იქნება.

საჩემპიონო სეზონის დასრულების შემდეგ, თბილისის დინამო 4-მა ლეგიონერმა დატოვა: ივან ტრუბოჩკინი, ფილიპ ორშულა, საიმონ ბენიო და როდნი კლოუსტერი ქართული ფლაგმანის მაისურით აღარ ითამაშებენ.

როგორც ცნობილი ხდება, საქართველოს ჩემპიონის რიგებში სეზონის წინ და მიმდინარეობისას ჩამოსულმა ლეგიონერებმა კვლავ ვერ გაამართლეს იმედები და მათ კლუბის დატოვება მოუწიათ.

ტრუბოჩკინმა ეროვნულ ლიგაში მხოლოდ 3-ჯერ ითამაშა, ამდენივე მატჩი ჩაატარა დედაქალაქური კლუბის მაისურით კლოუსტერმა, რომელიც დინამოს სეზონის მსვლელობისას შეუერთდა. 6-ჯერ ითამაშა და 2 საგოლე პასით გამოიჩინა თავი ორშულამ.

დინამოდან წასული ლეგიონერებიდან, ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ბენიო ხვდებოდა, რომელმაც 14 მატჩი ითამაშა და 1 გოლის გატანა შეძლო.

მას შემდეგ, რაც დინამოს მთავარ მწვრთნელად გიორგი ნემსაძე დაინიშნა, თბილისურმა კლუბმა, ჯერჯერობით, ერთი ფეხბურთელი დაიმატა. საქართველოს ჩემპიონის რიგებს მარტვილის მერანის ნახევარმცველი, ლევან წოწონავა შეუერთდა. თუმცა, დედაქალაქურ გუნდში, დიდი ალბათობით, ბათუმის დინამოდან გადავა ჯამბულ ჯიღაურიც.

დინამოდან ასევე წავიდა გიორგი ზარია, რომელიც მომავალ წელს ისევ დინამოში, მაგრამ უკვე ბათუმისთვის ითამაშებს. ზღვისპირელებმა თელავიდან დაიმატეს გიორგი ჩაბრაძე, რომელიც წესით საბურთალოს ეკუთვნის, მაგრამ კახურ გუნდში განათხოვრებით თამაშობდა და ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ბათუმელებს შეუერთდება სერგო ალთუნაშვილიც – საბურთალოს ნახევარმცველი წლის საუკეთესოს ნომინაციაშიც იყო დასახელებული.

რაც მთავარია, აჭარულ გუნდში შეიცვალა სპორტული დირექტორი და ის გუნდის ყოფილი ფეხბურთელი ვლადიმერ დვალიშვილია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

მერაბ ნინიძე „ბაფტას“ ნომინანტია

ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე ბრიტანეთის დამოუკიდებელი კინოს დაჯილდოების „ბაფტას“ ნომინანტია. იგი მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შემსრულებელთა სიაში მოხვდა ფილმით „კურიერი“. ამ ფილმში მერაბ ნინიძე ცნობილ მსახიობთან ბენედიქტ კამბერბეჩთან ერთად მონაწილეობს.

ბრიტანეთის დამოუკიდებელი კინოს დაჯილდოება უკვე წლებია ტარდება და მისი ჯილდოს მფლობელები მსოფლიოში ცნობილი მსახიობები არიან. პრემია 1998 წლიდან გაიცემა.

წლევანდელი დაჯილდოების ნუსხაში ჩამოთვლილი 17 ნომინაციიდან საუკეთესოებს მომავალი წლის თებერვალში გამოავლენენ.

როდის მოწესრიგდება რეზო ინანიშვილის სახლ-მუზეუმი?

მწერალ რევაზ ინანიშვილის მშობლიურ სოფელ ხაშმში მდებარეობს მისი სახლი, რომელიც მიტოვებულია. რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ იქაურობა მოწესრიგდებოდა და მწერლის სახლ-მუზეუმად გადაკეთდებოდა.

მწერლის მშობლიური სახლის მოწესრიგების საკითხი ჯერ კიდევ 2014 წელს გურამ ოდიშარიას კულტურის მინისტრობის დროს დადგა.

– თუ იცით, რა ხდება ამ ფაქტთან დაკავშირებით? – კითხულობს პოეტი თემო ჭახნაკია:

– პირველად გურამ ოდიშარიას ინიციატივით დაიძრა ეს თემა, მაშინ კულტურის მინისტრი გახლდათ და 2014 წელს ჩასული იყო სოფ. ხაშმში, მოინახულა რეზო ინანიშვილის 1995 წლიდან მიტოვებული და გაპარტახებული ეზო-კარმიდამო და სახლი.

სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა, საყდრისის ოქროს უძველეს მაღაროსთან დაკავშირებული ამბების გამო, გურამ ოდიშარიამ პოსტი დატოვა იმავე წელს და სულგაყიდული გიორგაძე დაინიშნა მის პოსტზე.

საგარეჯოს კულტურული ობიექტების გაერთიანების დირექტორი ბესო ღვინიაშვილი 2014 წელს ამბობდა: რევაზ ინანიშვილის სახლს მალე სახლ-მუზეუმის სტატუსი მიენიჭება, რის შემდეგაც სახლ-მუზეუმზე კულტურის სამინისტრო იზრუნებსო.

5 წელი მიაჩუმათეს ეს თემა. 2019 წელს ახალი განცხადება გავრცელდა, სადაც ამბობდნენ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, საგარეჯოს 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია რევაზ ინანიშვილის სახლ-მუზეუმის პროექტირების თანხები და 2019-2020 წლებში რევაზ ინანიშვილის მემორიალური, სამუზეუმო სივრცის მოწყობა სოფელ ხაშმშიო.

ახლა 2020 წელი სრულდება, დაწყებულია სახლ-მუზეუმის მოწყობა? გამიხარდება თუ ოდესმე ვიხილავთ ამ მუზეუმს, ისე გამიხარდება, როგორც ჩოხელის შესანიშნავი სახლ-მუზეუმის აშენებამ გამახარა. უნდა დავაფასოთ ჩვენი დიდი მწერლები, ყველას სახლ-მუზეუმი უნდა მოეწყოს!

ალექსანდრე ელერდაშვილს, რომელიც იკვლევს რეზო ინანიშვილის შემოქმედებას, თავმოყრილი აქვს ჩვენი სასიქადულო ნოველისტის ყველა მხატვრულ-პროზაული ტექსტი, მგონი 600-ზე მეტია და იმედია გამოიცემა ერთი დიდი ფორმატის წიგნად, რომლის პრეზენტაციას ვისურვებდი მისივე სახლ-მუზეუმში.

თინა ჭილაძემ ძმებზე – ოთარ და თამაზ ჭილაძეებზე წიგნი დაწერა

ოთარ და თამაზ ჭილაძეების დამ – თინა ჭილაძემ წიგნი დაწერა. როგორც წიგნის რედაქტორები აღნიშნავენ, წიგნი ყველასთვის საინტერესო იქნება. ქალბატონი თინას პირადი ცხოვრება თავიდანვე და ბუნებრივად გახდა სახელოვანი ძმების თანამდევი, რამაც წიგნის ავტორი უამრავი შინაურული თუ საზოგადო ამბის თვითმხილველი გახადა.

დოკუმენტურ პროზაში უმნიშვნელო დეტალი არ არსებობს, მით უფრო, თუ ის გულწრფელად და მაღალი ოსტატობითაა დაწერილი. თინა ჭილაძე „თამაზთან და ოთართან ერთად“ შთამბეჭდავად აგრძელებს ქართული ავტობიოგრაფიული პროზის ტრადიციებს და ამასთან ერთად, იმ უნიკალურ მოვლენასაც უფრო გამოკვეთს, რასაც აქამდე მკითხველი იზაბელა რემბოს და ზოზია კვირკველიას სახელებით იცნობდა. ესაა დისგან ლამის ცხოვრების ერთადერთ მიზნად დასახული უანგარო თანადგომა და თავდადება ძმებისადმი.

თინა ჭილაძის ეს წიგნი სამი ადამიანის მძაფრი განცდებით და გრძნობების სავსე ცხოვრებას მოგვითხრობს, ერთმანეთზე ზრუნვისა და ერთგულების ამბავს, სადაც ბევრი სევდიანი თუ ბედნიერი წუთია და ალაგ-ალაგ თამაშისა და შეხუმრებისთვისაც რჩება ადგილი.

დავით ანდღულაძეს 31 დეკემბერს დაკრძალავენ

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, რეჟისორი დავით ანდღულაძე საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოასვენეს.

ინფორმაცია რკინის თეატრმა გაავრცელა.

სიმსივნით გარდაცვლილ 64 წლის რეჟისორს ვაკეში მდებარე სამების ეკლესიაში დაასვენებენ, სადაც უკანასკნელ პატივს მიაგებენ და ვაკის სასაფლაოზე 31 დეკემბერს დაკრძალავენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 3. მაგნიტის ბერძნული სახელწოდება; 4. ერთ-ერთი კონტინენტი; 5. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 6. მაღალმთიანი სოფელი სვანეთში; 8. ნავთობის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 11. ირლანდიის დედაქალაქი; 14. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 15. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 16. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 17. დროებით სხვასთან შეკედლებული პირი; 19. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 21. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი პერიოდული მონაცემები; 22. სამხრეთ კორეის დედაქალაქი.

თარაზულად: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. აზიასა და აფრიკაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 7. ისტორიული ციხესიმაგრე ახალციხეში; 9. მაისის თვის ქართული სახელწოდება; 10. უღელტეხილი აჭარაში; 12. კურკოვანი ხილი; 13. უძველესი ქართული სამეფო; 16. ვალის გადახდის უნარმოკლებული გაკოტრებული პირი; 17. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 18. პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში; 20. მოსავლის ამღები მანქანა; 22. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 23. გრეიპრუტის ქართული სახელწოდება; 24. საჭადრაკო ამოცანა; 25. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ალებასტრი; 2. ფეიქარი; 3. ციცაგი; 4. აქატი; 5. ქსენი; 11. მიზანი; 12. სეტერი; 14. გუნო; 16. ლიეტუვა; 17. შაჰნამე; 19. ბერინგი; 21. ქორქი; 22. მუაში.

თარაზულად: 6. კლარნეტი; 7. კაქტუსი; 8. ტვენი; 9. მადონა; 10. გეიმი; 13. გროგი; 15. ალადასტური; 18. მიკრობი; 20. არნო; 21. ქაბული; 23. კატამარანი; 24. მუთაქა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ავენიდა; 3. აკადემია; 4. აკვატორია; 5. ჰეკლა; 6. ასკილი; 8. ფრახტი; 11. ბოკერია; 14. ექსტრაქცია; 15. წუწუნავა; 16. შუშაბანდი; 17. ფაცერი; 19. აერაცია; 21. ტაიგა; 22. დიორი.

თარაზულად: 1. მაშავერა; 5. ჰერა; 7. ჩაფარი; 9. ლევანდოვსკი; 10. კუბდარი; 12. პლაკატი; 13. კარტელი; 16. შვიდეული; 17. ფაზა; 18. ქარვა; 20. ტარიბანა; 22. დვალი; 23. ბავარია; 24. ნიკორა; 25. გონიო.

ყალეიდოსკოპი

მინიატურულმა ძაღლებმა ქალი დათვისგან დაიხსნეს

ამერიკის ფლორიდის შტატის კოლიერის ოლქში ძაღლები და ველოსიპედისტი ქალს გააფთრებული დათვის ყბებისგან თავის დაღწევაში დაეხმარნენ.

ინციდენტი 24 დეკემბერს, დილით მოხდა. კეტლინ ბოილი თავის ორ ვესტ-ჰაილენდ-უაიტ-ტერიერს ასეირნებდა, რა დროსაც დათვის ორი ბელი შენიშნა. ის მიხვდა, რომ სადღაც იქვე ძუ დათვიც იმყოფებოდა. ის შეეცადა, სასწრაფოდ იქაურობას გასცლოდა, მაგრამ მოზრდილ დათვს გადააწყდა.

მინიატურულმა ძაღლებმა პატრონის მტაცებელი ცხოველისგან დაცვა ცადეს. ბოილის თქმით, პირველი მტაცებელთან დაპირისპირებაში მისი ძაღლი ჩაება და დათვს კბილებით მუცელში ჩააფრინდა. მტაცებელმა ძაღლს პირი სტაცა, ასწია და ჰაერში მოისროლა. ამ დროს მხეცს უკვე მეორე ძაღლი დაეძგერა. მანაც მუცელზე უკბინა მტაცებელს.

ქალმა გადაწყვიტა, თავის საყვარელ ცხოველებს დახმარებოდა და დათვს ცემა დაუწყო. ის იყო, მტაცებელმა ქალზე იერიშის მიტანა გადაწყვიტა, რომ ამ დროს ზურგიდან ველოსიპედისტი მიადგა და იღრიალა.

– დათვი ორ აღრიალებულ ადამიანს შორის აღმოჩნდა, შეშინდა და გაიქცა, – იხსენებს ბოილი, – რომ არა ველოსიპედისტი, როგორ დასრულდებოდა ეს ყოველივე, არ ვიცი. ძაღლს, სახელად დათვს, სერიოზული დაზიანებები დარჩა. მას სამედიცინო დახმარება გაუწიეს და გამოჯანმრთელება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შოთა არველაძე: „ფინჯანი ყავის დასალევად დავით აღმაშენებელთან დავჯდებოდი“

შოთა არველაძესთან ვრცელი და საინტერესო ინტერვიუა ჩაწერილი, ჩვენ კი შემოკლებით შემოგთავაზებთ, რადგან ძირითადად უზბეკურ ფეხბურთს ეხება.

– როცა უზბეკეთში მიდიოდით სამუშაოდ, წარმატებების გჯეროდათ?

– მე ხომ ფახთაქორში ჩავედი სამუშაოდ. ვიცოდი, რომ გარკვეული სირთულეების მიუხედავად, ეს იყო დიდი ისტორიის მქონე კლუბი... აი, როგორც ბაიერნი ყოველთვის ბაიერნია, ბარსელონა ყოველთვის – ბარსელონა, სპარტაკი ყოველთვის სპარტაკია და თბილისის დინამოც ყოველთვის თბილისის დინამოა. სანამ წავიდოდი სამუშაოდ, ანალიზი გავაკეთე და მივხვდი, რომ კლუბს არ ჰყოფნიდა რგოლებს შორის კავშირი.

– თქვენზე არ იქონია გავლენა იმან, რომ სანამ ჩაიბარებდით, ფახთაქორი ცხრილის შუაში იყო?

– დამრჩა შთაბეჭდილება, რომ რაღაც გულით არ კეთდებოდა. არავის დადანაშაულება არ მინდა, მაგრამ ფახთაქორი სახალხო გუნდია, ის ყველას უყვარს და ყველა აფასებს, ის კულტურის ნაწილია... ქვეყნისაც. როგორც არ შეიძლება საქართველოს წარმოდგენა თბილისის დინამოს გარეშე, ასევეა ფახთაქორი – უზბეკეთისთვის.

– რამდენად იქონია გავლენა თქვენს გადაწყვეტილებაზე ფინანსურმა ფაქტორმა?

– ფახთაქორში იმდენივეს ვიღებდი, რამდენსაც თურქეთში. ამდენად, ფულის თემა არ არის ჩემთვის მთავარი. ვერ ვიტყვი, რომ ფინანსები არ არის მნიშვნელოვანი, ეს ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ გერმანიასა და ესპანეთშიც რომ ვიმუშაო, ჩემთვის მთავარი ფული არ იქნება. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და სადაც ვმუშაობ, ვცდილობ, შევითვისო იმ ქვეყნის კულტურა, ჩავუღრმავდე ნიუანსებს... ჩემს ასაკში ვეღარ შევიცვლები. ვიღაცისთვის ბევრს მივაღწიე, ვიღაცისთვის – არა. როგორც ვიცხოვრე, ისევე ვიცხოვრებ. გემოვნება, ეთიკა და მორალი არ იცვლება. მადლობა მშობლებს და ბებია-ბაბუას, რომ ასე გამზარდეს.

– ფახთაქორის ალტერნატივა არსებობდა?

– იყო წინადადებები თურქეთიდან, საუდეთიდან, ჰოლანდიიდან... ოღონდ, არა – აიაქსიდან.

– როგორც ვიცით, უზბეკური სამზარეულო ძალიან მოგწონდათ.

– აქამდე, ასეთი მდიდარი მხოლოდ ქართული სამზარეულო მეგონა. რა თქმა უნდა, მსმენოდა ამის თაობაზე, მაგრამ მაინც გამიკვირდა. მსმენოდა ბუხარისა და სამარყანდის თაობაზეც, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ისინი რომისა და ათენის ტოლი იქნებოდნენ. არ ვიცოდი, თუ ტაჯ-მაჰალი უზბეკების აშენებული იყო. ამ სტადიონზე 1964 წელს თბილისის დინამომ მოსკოვის ტორპედოს მოუგო და პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მე მსიამოვნებს, რომ ჩემი ქვეყნის შესახებ აქ ბევრი კარგი მესმის. ბევრი კეთილი ადამიანი ვნახე აქ და ბევრი პოზიტივი შევიძინე.

– და მინუსის კუთხით რამ გაგაკვირვათ?

– როცა რამე არ მომწონდა და მიზეზს ვიკითხავდი, მეუბნებოდნენ – რას იზამ, ეს უზბეკეთიაო! არ მესმის ამ პასუხის არსი. ეს ხომ უდიდესი ისტორიის ქვეყანაა, რომელიც წარსულში ნახევარ მსოფლიოს მართავდა.

– თქვენ საბჭოთა პერიოდის მიწურულს დაიწყეთ თამაში. როგორი შეგრძნებაა, როცა თამაშობ ერთ ჩემპიონატში და უცბად აღმოჩნდები მეორეში?

– რთულია ამის გაგება, თუ არ გიცხოვრიათ ეპოქაში, როცა ლენინი იყო ყველაფერი. იყო სტალინი... და ერთ დღეს შენ გეუბნებიან, რომ ეს ყველაფერი იყო არასწორი. არ იცვლებოდა პრიორიტეტები, ჩვენი ოცნება იყო თბილისის დინამოში თამაში. რა იყო საბჭოთა კავშირი? იყო ერთი სალარო. მერე მოსკოვმა დედაქალაქის სტატუსი დაკარგა და მიდი და ითვალე კუპონები. ქართველები კარგი ხალხი ვართ, კარგი შვილები, შვილიშვილები... ცოტა ამაყები და ძალიან კეთილები...

– საბჭოთა დროს დინამო ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო, ახლა კი ასე აღარ არის.

– ქართველებმა ყველა ტურნირი მოიგეს. 1972 წელს ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები. 2 წელი ზედიზედ ნბა-ს ჩემპიონი იყო ზაზა ფაჩულია. ძიუდოშიც დიდი წარმატებები გვაქვს. გუნდურ სახეობებში ყოველთვის ძნელია. აქ ფული გჭირდება.

– ამბობენ, რომ თავის დროზე საქართველოს ნაკრების გაწვრთნა შემოგთავაზეს.

– კი, იყო ასეთი შემთხვევა.

– რატომ არ დათანხმდით?

– პირველი შეთავაზებისას ახალი დასრულებული მქონდა კარიერა. მაშინ მე მქონდა 2 არჩევანი – ან გავმხდარიყავი ლუის ვან გაალის ასისტენტი, ან გამეწვრთნა საქართველოს ნაკრები. მიმაჩნია, რომ სწორი გზა ავირჩიე. მაშინ ნაკრებში ჩემი მეგობრები თამაშობდნენ. როგორ ვეტყოდი მათ, 11-ზე დაიძინეთ, შუქი ჩააქრეთ დროზე, ბანქო არ ითამაშოთ-მეთქი? მე ვისწავლე ისეთი დიდი მწვრთნელებისგან, როგორებიც არიან ვან გაალი, ადვოკაატი, კუმანი.

– ცოტა ხნის წინ საქართველოს ნაკრები ახლოს იყო ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრასთან. რატომ ვერ მოხვდა საქართველო ევროპის, ხოლო უზბეკეთი – მსოფლიოს ჩემპიონატზე?

– ალბათ ყველაფერს ისე არ ვაკეთებთ, როგორ საჭიროა. არც გვიმართლებს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. სულ რაღაც შეთქმულებებში ვართ, გვინდა, ვიღაცას დავაბრალოთ... ღმერთი ხედავს ყველაფერ ამას.

– რამე არასპორტული პრობლემა გაქვთ მხედველობაში?

– თუ 10 წლის განმავლობაში იდგმება არასწორი ნაბიჯები, შენ კი აგრძელებ მათ, როგორ შეიძლება, გაიმარჯვო? შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ჩრდილოეთ მაკედონიამ კარგად ითამაშა? ან რა პრობლემები ჰქონდა? რაში მაინტერესებს მე, რა ხდება მაკედონიაში? მე მაინტერესებს, რა ხდება ჩემს ნაკრებში.

– რამდენად სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რომ თქვენს 11-ნომრიან მაისურას საქართველოს ეროვნულ ნაკრებში აღარავინ ჩაიცვამს?

– არ დავმალავ, სასიამოვნო იყო. და მაინც, იმავე დღეს ვთქვი – არა. თუ „ცხრიანი“, „ათიანი“ და ასე შემდეგ არ იქნება ნაკრებში, მაშინ ვის სჭირდება ასეთი ნაკრები? ჰოკეი რომ იყოს და მე ვიყო ქართველების გრეტკეი ან ლემიე, მაშინ მშვიდად შევხვდებოდი ამას.

– 90-იან წლებში საქართველოდან ბევრი ფეხბურთელი წავიდა საზღვარგარეთ. თქვენ როგორ გამოგიჩნდათ ტრაბზონის ვარიანტი?

– ახლა 400-მდე ქართველი ფეხბურთელი თამაშობს საზღვარგარეთ, მაგრამ მე ვერ ვხედავ ქართველ ფეხბურთელს აიაქსსა და მანჩესტერ სიტიში. ადრე სხვანაირად იყო. ქინქლაძე სიტიში რომ თამაშობდა, მერე კიდევ ოთხმა ქართველმა ითამაშა იქ.

– ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი, ვინც შეიძლებოდა მიგეყვანათ „ფახთაქორში“?

– ცნობილი თუ უფრო საინტერესო?

– ჩათვალეთ, რომ ეს ერთი და იგივეა.

– იყო რობინიო, არდა თურანი და ადებაიორი. ჩვენ გვქონდა მათთან მოლაპარაკება, მაგრამ ასეთი ფეხბურთელების დამატებას დიდი ფინანსები სჭირდება. მეჩვენება, რომ უზბეკეთის ჩემპიონატი ჯერ მზად არ არის ასეთი ვარსკვლავებისთვის.

– ქართველი ფეხბურთელი და ქართული სამზარეულო – ეს 2 რამ როგორ უთავსდება ერთმანეთს?

– თუ პროფესიონალი ხარ, წონას აკონტროლებ. როცა ფახთაქორში მივედი, ზოგიერთს ზედმეტი წონა ჰქონდა. სულ ვაკონტროლებ წონას. ფეხბურთელს არ ვუშლი ფლავის ჭამას, მაგრამ ხომ აქვს მნიშვნელობა, რამდენს ჭამს? ასე, იტალიური სამზარეულოც მდიდარია, მაგრამ იტალიელები ჩემს თვალში ყველაზე დიდი პროფესიონალები არიან.

– თუ შეგრცხვენიათ როდესმე და რატომ?

– მე მორწმუნე ვარ და ღმერთის წინაშე მრცხვენია. როცა 14-15 წლის ვიყავი, საუკეთესო ბაბუა და ბებია მყავდა. ალბათ, ყველა თავისას თვლის საუკეთესოდ. ერთხელ მამამ დაგვიძახა და გვითხრა – არასოდეს შეეხოთ სხვის ფულს და სხვის ქალს, თქვენ კაცები ხართ და კონფლიქტები გექნებათ. შეიძლება, ნეხვში ჩავარდეთ, მაგრამ გაიწმენდთ შარვალს, ფეხსაცმელს გადაყრით. ამას ეშველება, მთავარია, სუფთა უნდა იყო ღმერთთან, ახლობლებთან და საკუთარ თავთანო.

– გეძლევათ 10 წუთი, რომ ფინჯანი ყავა დალიოთ თქვენთვის სასურველ პერსონასთან. ვინ იქნებოდა ის?

– ალბათ, დავით აღმაშენებელი. მან დიდი საქართველო ააშენა. მე მას ვკითხავდი, როგორ ააშენა ასეთი ქვეყანა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ანზორ აბშილავა, ნელი ღუღუნიშვილი, ნათელა, თამარ, ლევან, მაყვალა, ნინო, ზურაბ აბშილავები, ლევან ხაჟომია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო სტურუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეზო სტურუა

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ქართულმა სამთო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან სამთო საქმის ცნობილი მეცნიერი, უანგარო მეგობარი, ახალგაზრდა თაობის მეცნიერთა აღმზრდელი. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დიდი გულშემატკივარი, მრავალი ეროვნული და საერთაშორისო აკადემიის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების ავტორი.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი უანგაროდ ემსახურებოდა საქართველოში სამთო მეცნიერების განვითარების საქმეს. იყო საქართველოს სამთო საზოგადოების პრეზიდენტი, სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამთო-გეოლოგიური დარგის სადისერტაციო საბჭოს.

მძიმეა მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, გვწამს, რომ მომავალი თაობა არ დაივიწყებს მის ბრძნულ რჩევებს. იგი ყოველთვის იქნება სამაგალითო პიროვნება თითოეული ჩვენთაგანისთვის, ზნეობის, კაცთმოყვარეობის ეტალონი.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

ა.აბშილავა, დ.ტალახაძე, ზ.არაბიძე, დ.თევზაძე, ა.გიგინეიშვილი, ნ.დოლიძე, ნ.ღუღუნიშვილი, ნ.ჯიქია, ნ.ხუნდაძე, ი.გუჯაბიძე, გ.მაჩაიძე, ი.ჯანიაშვილი, თ.კუნჭულია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ახალგაზრდა თაობის დიდი მეგობარი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და ყოფილი პრორექტორი, საქართველოს საინჟინრო, საერთაშორისო საინჟინრო და რუსეთის სამთო აკადემიის ნამდვილი წევრი, სამთო საქმის საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი

რევაზ (რეზო) სტურუა

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და ახლობლებს.

დემურ ტალახაძე ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, საქართველოს სამთო საზოგადოების პრეზიდენტი

რევაზ სტურუა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2766

ევრო — 4.0233

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5529

100 რუსული რუბლი — 4.4031

ამინდის პროგნოზი 31 დეკემბრისათვის

კუმანი: „უბრალოდ არ გვიმართლებს“

ბარსელონამ საკუთარ მოედანზე ეიბარის დამარცხება ვერ შეძლო და საკმაოდ მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა. მატჩის შემდეგ ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა უიღბლობაზე ისაუბრა და თქვა, რომ გუნდს უბრალოდ ასეთი პერიოდი აქვს:

– ყველა გუნდს აქვს დრო, როდესაც ყველაფერს სწორად აკეთებს, მაგრამ შედეგი მაინც არ არის. ეიბართან უბრალოდ არ გაგვიმართლა და ჩემი ფეხბურთელების გარჯით უკმაყოფილო არ ვარ.



გარეთ ბეილი მინიმუმ 3 კვირას გამოტოვებს

ლონდონის ტოტენჰემის უელსელი ფორვარდი გარეთ ბეილი ტრავმის გამო მინიმუმ 3 კვირას გამოტოვებს. ამის შესახებ ცნობილი რამდენიმე დღის წინ გახდა. ბეილს ბოლო წლების მანძილზე ტრავმები ხშირად აწუხებდა და ეს იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რის გამოც მან რეალში ვერ შეძლო თავის დამკვიდრება.

ტოტენჰემში მან სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ტრავმები მისთვის ისევ მთავარი პრობლემა იქნება.

ბეილი მოედანს სავარაუდოდ იანვრის ბოლოს დაუბრუნდება.

ატლეტიკომ დიეგო კოსტასთან კონტრაქტი გაწყვიტა

მადრიდის ატლეტიკომ თავის ფორვარდთან დიეგო კოსტასთან კონტრაქტი გაწყვიტა და დიეგო თავისუფალი აგენტი გახდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გახდა ამის მიზეზი, მაგრამ გავრცელებული ხმების თანახმად, კოსტას ატლეტიკოს ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი ჰქონდა.

კოსტას მომავალი, სავარაუდოდ, პრემიერ ლიგას უკავშირდება და მისით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული.

ერთ-ერთი მათგანი არსენალია, რომელიც იანვარში ფორვარდის დამატებას აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქალი გამილიონერებამ ცუდად გახადა

ხანშიშესული ბრიტანელი ქალბატონი ცუდად გახდა, როდესაც მიხვდა, რომ ლატარიაში 3,8 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო.

– მოგების ოდენობას დავხედე და საკუთარ თვალებს ვერ დავუჯერე, – იხსენებს 70 წლის დაიან ბეიტი, – ვიფიქრე: „ასეთი რამ შეუძლებელია“. ადრე 100 ფუნტზე მეტი არასოდეს მომიგია.

მან თავისი 74 წლის მეუღლე გააღვიძა, რათა მას შეემოწმებინა ლატარიის ბილეთი. შემდეგ შვილიშვილს დაუძახა. თავად კი თავის დასამშვიდებლად ოჯახური სადილის მომზადებას შეუდგა.

ბეიტის თქმით, დიდი თანხის მოგების წყალობით, უფრო დიდ სახლს იყიდის. გარდა ამისა, მას სურს ისევ იმოგზაუროს აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. თუმცა ამის გაკეთების გადადება კოვიდ-19 პანდემიის დასრულებამდე მოუწევს. ქალმა ასევე დაამატა, რომ ახლა უკვე შეძლებს იმ ნათესავების დახმარებას, რომლებსაც ფინანსურად უჭირთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

31 დეკემბრისათვის

ვერძი – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კურო** – ცვლილებების დრო არ არის. სერიოზული საკითხების მოგვარებას დღეს პლანეტები არ გირჩევენ. **ტყუპები** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ლომი** – სხვისი პრობლემების გადაწყვეტას ნუ შეეცდებით. თავი შეიკავეთ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. **ქალწული** – გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს ეცადეთ, მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდეთ. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ღრიანკალი** – გამორიცხული არ არის, დაგროვილ საქმეებს თავი შესანიშნავად გაართვათ, თუ, რასაკვირველია, არ იზარმაცებთ. **მშვილდოსანი** – საოჯახო პრობლემების მოგვარების დროა. შეგიძლიათ, საღამოს გაერთოთ და დაისვენოთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **მერწყული** – ნებისმიერი პრობლემის მოგვარება ხელგეწიფებათ, ოღონდ ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **თევზები** – დღევანდელი დღე ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ნუ გადაიღლებით. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

– შენ რა, ისევ დაბოლდი?
– არა, მამა, რას ამბობ?
– მამა კი არა, შენი ძაღლი ვარ.
– კარგი რა ყურშა, როგორ შემაშინე!

●●●

პატარა გოგონა ექიმს ეკითხება:
– რამდენი წლის ხართ?
– 52-ს.
– აუ, არ მინდა, რომ ასეთი ბებერი გავხდე.
– მაგაზე არ ინერვიულო, ვერც გახდები.

●●●

სამსახურიდან დაბრუნებულ დაღლილ დედას პატარა გიგი შეეგება და ეუბნება:
– დედიკო, იცი, მე ჭურჭელი დავრეცხე.
– ყოჩაღ, შვილო!
– დედიკო, იცი, სახლი დავაღაგე.
– ყოჩაღ, შვილო!
– დედიკო, იცი, ჩვენი კატა მაკედაა.
– ყოჩაღ, შვილო!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს და ეკითხება:
– რას აკეთებ?
– არაფერს.
– გუშინაც ეგ არ მიპასუხე?!
– გუშინ ვერ დავასრულე...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გია ყანჩელის 85 წლის იუბილეს კონცერტი მიეძღვნა

გენიალური ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის 85 წლის იუბილეს მუსიკალური ფესტივალის „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ ერთ-ერთი კონცერტი მიეძღვნა.

თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს სინფონიეტა“ დირიჟორ მირიან ხუხუნაიშვილის ხელმძღვანელობით ათასობით მსმენელს მსოფლიო პრემიერა შესთავაზა – მინიატურები ორკესტრისათვის.

ცოტნე ზედგინიძის საერთაშორისო კარიერა იწყება

ვუნდერკინდი კომპოზიტორის ცოტნე ზედგინიძის საერთაშორისო კარიერა იწყება. ის მსოფლიოში აღიარებულ პიანისტსა და დირიჟორთან დანიელ ბარენბოიმთან იმყოფება, რომელიც ცოტნეს ნიჭითა და შესაძლებლობებით სასიამოვნოდ გაოცებულია:

– ჩვენი საოცრება ბავშვი ცოტნე ზედგინიძე არის მაესტრო დანიელ ბარენბოიმთან და მაესტრო არის გაოცებული და გაგიჟებული ამ ბავშვის გენიით! ამაზე მეტად არაფერი გამახარებდა ამ 2020 წელს! მადლობა მაესტრო ბარენბოიმს და, რაც მთავარია, მადლობა მაესტრო ნიკოლოზ რაჭველს და ჩვენს საოცარ ლიზა ბათიაშვილს იმისთვის, რომ ყოველთვის ზრუნავენ ნიჭიერ ადამიანებზე, – განაცხადა ოპერის მომღერალმა ანიტა რაჭველიშვილმა.

მსოფლიოში აღიარებულმა მევიოლინემ ლიზა ბათიაშვილმა კი ცოტნეს წარმატებაზე უფრო დეტალურად ისაუბრა:

– 2020 წლის ფრაზა – „მე ცოტნესნაირი ბავშვი არც მინახავს და არც მეგულება, ყველაფერს გავაკეთებ და მისთვის ყოველთვის მისაწვდომი ვიქნები თუ რამეში შემიძლია დავეხმარო,“ – დანიელ ბარენბოიმი, რამდენიმე წუთის შემდეგ რაც მან ცოტნე თსოტნე ძედგინიდზე პირველად მოისმინა.

2020 წელი თითქმის დასრულდა და მიუხედავად ყველა სირთულისა და დანაკარგისა ამ წელიწადმა სიურპრიზები და მოულოდნელი გამოწვევები გაგვიჩინა. ამ უჩვეულო და რთულ წელს ვაცილებთ მზის სხივით, რომელმაც ბევრი ადამიანი ერთად შეკრა იმისთვის, რომ 11 წლის უნიკალური ბიჭის პირველი ვიზიტი ბერლინში შემდგარიყო.

ცოტნეს გამომგზავრება, თან ასეთ რთულ პერიოდში, სულ არ იყო მარტივი, რბილად რომ ვთქვათ, მაგრამ ამ ბედნიერი წუთების განცდა ცოტნეს აქ ყოფნის დროს იყო სიცოცხლის და ნიჭის ზეიმი, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პირველ რიგში: დათო საყვარელიძეს და მთელი წინანდლის ფესტივლის გუნდს, ცოტნეს ოჯახს, ბულეზ აკადემიის ადმინისტრაციას, მაესტრო ბარენბოიმს, მაესტრო იორგ ვიდმანს და ნიკოლოზ რაჭველს, რომელმაც ცოტნეზე შარშან პირველად მომიყვა და ეს საოცარი ბავშვი გამაცნო.

ეს იყო ბედნიერება ამ კადრების ცოცხლად ნახვა, როცა პატარა ცოტნე დიდ დანიელს და იორგს ისე ესაუბრება, თითქოს უკვე დიდი ხნის ტოლი მეგობრები და კოლეგები იყვნენ და ერთმანეთს პატივს სცემდნენ. მე ვუსურვებ ამ ბიჭს მშვიდობიან, თავისუფალ, კრეატიულ იმპულსებით სავსე წელს, ახალ გამოწვევებს და გაწონასწორებულ ზრდას. ეს სინათლის სხივი საქართველოს ელჩი არის და იქნება!

სარეაბილიტაციო სამუშაოები რკონის სამონასტრო კომპლექსში

ფონდი „ქართუს“ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანადაფინანსების საფუძველზე დასრულდა რკონის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი, რომელიც ღვთისმშობლის ეკლესიის ცენტრალური ნავის გადახურვასა და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი საპირე წყობების აღდგენას ითვალისწინებდა.

სარეაბილიტაციო პროცესის მიმდინარეობისას მთავარ ტაძარზე ლავგარდანის მორყეული ქვები კირის დუღაბზე გადაეწყო. მონოლითურად მოეწყო მისი სარტყელი და კამარის თაღები. ანტისეპტიკური და ცეცხლგამძლე ხსნარით დამუშავებულ ბურულქვეშა კონსტრუქციაზე დაეგო ჰიდროსაიზოლაციო მემბრანა. ამორტიზებული თუნუქის სახურავი კი შეიცვალა ლორფინის იმიტაციის მქონე დაფერილი თუნუქით. ღვთისმშობლის ტაძრის ფასადისა და ინტერიერის ამორტიზებული ქვის საპირე წყობები ფრაგმენტულად გადაეწყო კირხსნარზე, ხოლო სრულად დეგრადირებულ არეალებზე კი პერანგის ქვები ქვიშაქვის ახალი კვადრებით ჩანაცვლდა. ინტერიერში არსებული ბზარები და გამოქარული მონაკვეთები ჰაერის ჭავლით დამუშავდა, გამოსუფთავდა და კირდუღაბით ინექტირდა. არქეოლოგიური ზედამხედველობით აიყარა კრიტიკულად დაზიანებული აგურის იატაკის ფენილი, რომელიც ქართული ტრადიციული წყობის ნიჩბისის ქვით მომავალი წლის პირველივე თვეებში შეიცვლება. სამონასტრო კომპლექსის ეზოში აიყარა დაზიანებული ქვის სარინელი. მის ნაცვლად ხრეშის ფენილზე დაეგო ნატეხი ფლეთილი ქვის ფილების ახალი სარინელი, რომელიც ტაძარს სახურავიდან ნადენ წყალს აარიდებს.

ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით რკონის კომპლექსური რეაბილიტაციის საშუალოვადიანი პროექტი მომავალ წელსაც გაგრძელდება. რესტავრაციის მომდევნო ეტაპზე დასრულდება მთავარი ტაძრის ორივე ნავის გადახურვისა და კონსტრუქციული გამაგრების სამუშაოები. კომპლექსური რეაბილიტაცია მოიცავს მონასტრის სუბსტრუქციის კონსოლიდაციას, ნათლისმცემლის მცირე ეკლესიის, სამრეკლოს, კოშკის, ეგვტერის, სატრაპეზოსა და გალავნის რეაბილიტაციას. სამომავლოდ დაგეგმილია ტაძრის პერანგის ქვისა და კედლის მხატვრობის კონსერვაციის განხორციელება.

რკონის კომპლექსი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და მრავალჯერ გადაკეთდა. ძირითადად გაირჩევა მშენებლობის 3 ფენა, რომლებიც სამონასტრო ცხოვრების პერიოდებს შეესაბამება. კომპლექსის ტერიტორია 2 მონაკვეთად იყოფა. ერთში განლაგებულია საკულტო ნაგებობანი, მეორეში – საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ›



შვეულად: 1. სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე; 2. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 3. ხუროთმოძღვრული სტილი შუა საუკუნეების ევროპაში; 4. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 5. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 11. ფრანგული საიუველირო ფირმა; 12. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 14. სქელი მურაბა; 16. სამკურნალო დაწესებულება; 17. ეკლესია თბილისში; 19. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 21. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი; 22. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

თარაზულად: 6. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 7. სითხის, ორთქლის, ბუნებრივი აირის წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 8. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 9. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 10. ცხენშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. შუშხუნა ღვინოების დასაყენებლად გამოყენებული ჰერმეტული სპეციალური ავზი; 18. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ქართული სამშენებლო კომპანია; 21. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 23. წალკის ძველი სახელწოდება; 24. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა